პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ოთხშაბათი, 15 ნოემბერი, 1950 წ. № 255 (8815). ფასი 20 კაპ.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დაიწყო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

ქართველი ხალხი დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს თავის საუკეთესო შვილებს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებს.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა სულ 55.673 ტონა ყურძენი, ანუ გეგმის 101,2 პროცენტი.

ყურძნის დამზადება გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ბაქრაძე
საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების მინისტრი გ. ალავიძე

საბჭოთა ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია

დღითიდღე ძლიერდება ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. დაიწყო საარჩევნო კამპანიის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი — დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები.

ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ისევე როგორც წინა არჩევნების დროს, ახლაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში თავის პირველ კანდიდატად ასახელებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს.

გუშინ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელები შეუდგნენ თბილისის საქალაქო საბჭოში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას. მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები ყველგან უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობს.

— დიდი სტალინი დეპუტატობის ჩვენი პირველი კანდიდატია! — ერთსულოვნად აცხადებენ თბილისის საწარმო-დაწესებულებათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

— ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების შემოქმედი დიდი სტალინი — აი ვის ვასახელებთ დეპუტატობის ჩვენს პირველ კანდიდატად მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოში! — აცხადებენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია.

დიდია საბჭოთა ადამიანების სიყვარული და ერთგულება ამხანაგ სტალინისადმი.

— სტალინი უძლეველი დროშაა მშვიდობის გამარჯვებისა ომზე, დემოკრატიის გამარჯვებისა რეაქციაზე! — დღეს ამ გრძნობით ცხოვრობენ, იბრძვიან და იმარჯვებენ მთელი მსოფლიოს პროგრესიული ადამიანები.

ამხანაგ სტალინის სახელით მიდიან მშრომელები წინასაარჩევნო ხალხმრავალ კრებებზე. ამ კრებებზე საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობენ იმ უდიდეს წარმატებებზე, რაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით მოპოვებულია ჩვენი ხალხის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. საბჭოთა ადამიანის გულს ახარებს ის, რომ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მშრომელთათვის შექმნილია ყველა პირობა მათი შემოქმედებითი უნარის გასაფურჩქნავად.

დიდი სტალინის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ყველა გამარჯვება. საქართველო მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკა გახდა. გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. აყვავდა მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება. დამკვიდრდა მშრომელთა საამური და ბედნიერი ცხოვრება. ყოველივე ამას ქართველი ხალხი უმადლის ლენინ-სტალინის პარტიას, დიდ სტალინს. ამიტომაა, რომ წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელები დიდი სიყვარულით ლაპარაკობენ ბოლშევიკების სახელოვან პარტიაზე, დიდ სტალინზე. ამიტომ ასახელებს მთელი საბჭოთა ხალხი დეპუტატობის თავის პირველ კანდიდატად ამხანაგ სტალინს.

უდიდესი აღფრთოვანების ვითარებაში წინასაარჩევნო კრებებზე თბილისის საქალაქო საბჭოს და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელებმა დაასახელეს დიდი სტალინის თანამებრძოლები — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი.

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან წარმოების წარჩინებული ადამიანები, სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები. ხალხი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს თავის საუკეთესო შვილებს, ლენინ-სტალინის საქმისათვის უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებს, რომელთაც უნარი შესწევთ გაამართლონ მასების ნდობა და ღირსეულად ემსახურონ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს.

როგორც წინა არჩევნების დროს, მომავალ არჩევნებშიც ბოლშევიკების პარტია გამოდის უპარტიო მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან ერთიანი კავშირით. ისევე, როგორც წარსულ საარჩევნო კამპანიაში, პარტია არჩევნებზე გამოდის პროფკავშირებთან, კომკავშირთან და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ერთად. ადგილობრივ საბჭოებში დასახელებული დეპუტატობის თვითეული კანდიდატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებში კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

რამდენიმე წუთის განმავლობაში ხალხით აივსო ქარხნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს კორპუსი. ყველამ წინასწარ იცოდა, რომ გუშინ, 14 ნოემბერს, სამუშაო დღის დამთავრებისთანავე უნდა დასწრებოდნენ წინასაარჩევნო კრებას, რათა დაესახელებინათ თბილისის საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატი.

სახელდახელო ტრიბუნიდან საამქროს სივრცეს გადაჰყურებდა წითელი დროშებით გარშემორტყმული დიდი პორტრეტი ხალხთა მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისა. კედლებს გასწვრივ ელექტროშუქზე წითლად ელვარებდნენ წარწერები: „გაუმარჯოს დიდ სტალინს!", „ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით —წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!", „ძმური სალამი ხალხებს, რომლებიც იბრძვიან დემოკრატიისა და სოციალიზმის გასამარჯვებლად!"

ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. დაშნელმა. კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნები ამხანაგები გ. ზამბახიძე და თ. ქელიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. მ. მაღრაძე, ქარხნის კოლექტივის სახელოვანი ადამიანები — კოსტა ილურიძე, ეკატერინე ხუბულური, იაკობ ბაბაევი და სხვები.

კრებამ ერთსულოვნად ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხ. კ. ჩარკვიანი.

ახალი ძალით იგრიალა ტაშმა, როდესაც საქარხნო პარტიული კომიტეტის მდივანმა ინჟინერმა გ. გეგეშიძემ კრებაზე სიტყვის წარმოთქმისას წინადადება შეიტანა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დასახელების შესახებ. ამხ. გეგეშიძემ ქარხნის თვითეული მუშის, ინჟინრისა და ტექნიკოსის, თვითეული მოსამსახურის გულისნადები გამოხატა თავის სიტყვაში.

ინჟინერ გ. გეგეშიძის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენი ქარხნის კოლექტივს, რომელიც სიამაყით ატარებს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელს, დღეს განსაკუთრებული სიხარულის დღე აქვს. ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რათა განვახორციელოთ დიადი სტალინური კონსტიტუციით მონიჭებული უფლება — დავასახელოთ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

ყველას გახსოვთ, რა ერთსულოვანი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით ავირჩიეთ ამ რამდენიმე თვის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო. საბჭოთა ხალხმა მაშინ ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ხმა მისცა ჩვენი პარტიის, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, იმიტომ რომ თვითეული საკუთარი თვალით ხედავს ამ პოლიტიკის დიად ნაყოფს, ხედავს ჩვენს ისტორიულ გამარჯვებებს. ყველა ხედავს, რომ იმ დროს, როდესაც ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ახალ ომს აჩაღებენ, საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით აშენებს კომუნიზმის გიგანტებს სტალინგრადში, კუიბიშევში, კახოვკაში, სამხრეთ უკრაინასა, თურქმენეთსა, ყირიმსა და ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს მრავალ სხვა კუთხეში.

ამხანაგებო! ბოლშევიკურ პარტიას დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი მიჰყავს ბრწყინვალე გამარჯვებათა გზით კომუნიზმის მწვერვალებისაკენ. ამიტომაც ჩვენი აზრი და გრძნობები მიპყრობილია იმისაკენ, ვინც მეთაურობს ჩვენს უძლეველ სოციალისტურ სახელმწიფოს, ვინც წინ მიუძღვის საბჭოთა ხალხს უფრო ბედნიერი ცხოვრებისაკენ — ჩვენი აზრი და გრძნობები მიპყრობილია დიდი სტალინისაკენ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი ქარხნის ისტორია უშუალოდაა დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან. აქ ზრდიდა და წვრთნიდა დიდი სტალინი ჩვენს მუშებს დიადი ბრძოლებისათვის, აქ ასწავლიდა იგი ჩვენს მუშებს პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის ხელოვნებას.

ამხანაგებო! ვფიქრობ, გამოვხატავ ყველა თქვენგანის მხურვალე სურვილს, მთელი ჩვენი კოლექტივის ერთსულოვან მისწრაფებას, თუ შემოვიტან წინადადებას, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენს კანდიდატად დავასახელოთ მთელი პროგრესული კაცობრიობის მეგობარი, მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი. **(ტაში).** ვუსურვოთ ამხანაგ სტალინს დიდხანს, დიდხანს სიცოცხლე და ვთხოვოთ მოგვცეს თანხმობა, რომ კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 57 საარჩევნო ოლქში. **(მქუხარე ტაში და ოვაციები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დიდება ბრძენ ბელადს, მამას და მასწავლებელს, მშვიდობის დიდ მედროშეს, მშობლიურ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).**

სტახანოველ ხარატ ი. ჟუმბურიძის სიტყვა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მექანიკური საამქროს მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები უდიდესი სიამაყის გრძნობას განვიცდით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენს პირველ კანდიდატად დასახელებულია ის, ვინც უკვდავ ლენინთან ერთად შექმნა სახელოვანი ბოლშევიკური პარტია, ვინც ააყვავა ჩვენი ძლევამოსილი სოციალისტური სამშობლო და წინ მიგვიძღვის ხალხთა შორის მშვიდობის განსამტკიცებლად. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენი პირველი კანდიდატი დიდი სტალინია. **(ტაში).**

სტალინი მახლობელი და ძვირფასია მსოფლიოს ყველა მშრომელისათვის. მის სახელთან დაკავშირებულია მთელი ჩვენი სიხარული, ყველა ჩვენი გამარჯვება **(ტაში).**

სტალინი მშვიდობაა! საბჭოთა სახელმწიფო დიდი სტალინის წინამძღოლობით მტკიცედ იცავს მშვიდობის პოლიტიკას. მაშინ როდესაც ამერიკელი აგრესორები ულმობლად ანგრევენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს, როდესაც ისინი პირდაპირ დაადგნენ აგრესიის გზას, რათა მსოფლიოში ახალი ომის კოცონი გააჩაღონ, ჩვენ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ვაშენებთ კომუნიზმს, შეუნელებელი წარმატებით მივდივართ წინ ახალ გამარჯვებათა გზით. დიდი სტალინის სახელი აღაფრთოვანებს მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანს დაიცვას მტკიცე მშვიდობა, ალაგმოს აგრესორები.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დაწყებიდან დღემდე შესრულებული მაქვს 12 წლის ნორმა. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი მომავალში უფრო გავაუმჯობესო მუშაობა, უკეთესად ვიმუშაო ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის სიამაყეს დიდ სტალინს! **(მქუხარე ტაში).**

თინა სესიტაშვილის სიტყვა

ამხანაგებო! მე უპარტიო ქალი ვარ. ვმუშაობ ამ ქარხანაში და ვამაყობ ამით. საბჭოთა ხალხის ყველა მიღწევა, ყველა გამარჯვება მოპოვებულია ჩვენი ქალების მონაწილეობით. საბჭოთა ქალები, მშობლიური ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად დიდად გაიზარდნენ, დაეუფლნენ ტექნიკას, მეცნიერებას, გახდნენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის მებრძოლ დიდ ძალად.

საბჭოთა ქალები თავისუფალ, ბედნიერ და უზრუნველ ცხოვრებას ვუმადლით იმას, ვისაც აქ ვასახელებთ თბილისის საბჭოს დეპუტატობის ჩვენს პირველ კანდიდატად — დიდ სტალინს!

მე მსურს გამოვთქვა აქ სატვირთოსავაგონო საამქროს მთელი კოლექტივის გულისნადები და მივესალმო ამხანაგ სტალინის დასახელებას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად! **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად პარტიას!

სიცოცხლე და დღეგრძელობა მშობლიურ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

* * *

შემდეგ ტრიბუნაზე ადიან მოწინავე მექვაბე-ბრიგადირი ი. სუხარევი, ქარხნის სამონტაჟო საამქროს უფროსი, ინჟინერი გ. ბეგალიშვილი, ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს მოწინავე სტახანოველი შ. კაპანაძე და ქარხანაში მომუშავე მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობის წარმომადგენელი სტახანოველი მექვაბე გ. ბალაშვილი, რომლებიც მხურვალედ უჭერენ მხარს დიდი სტალინის კანდიდატურას.

საერთო კრებამ ერთსულოვნად, ხანგრძლივი ტაშით მიიღო დადგენილება თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის რაიონის № 57 საარჩევნო ოლქში ამხანაგ სტალინის წამოყენების შესახებ. დადგენილებაში გამოთქმულია თხოვნა ამხანაგ სტალინისადმი დათანხმდეს აღნიშნულ ოლქში კენჭისყრას.

დადგენილება

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრებისა

საერთო კრებამ განიხილა საკითხი ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 57 საარჩევნო ოლქში მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ და ადგენს:

1. ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 57 საარჩევნო ოლქში მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისაგან დასახელებულ იქნას საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი, ლენინის საქმის ბრძენი განმგრძობი, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

2. ეთხოვოს ამხანაგ სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 57 საარჩევნო ოლქში თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებისა, ინჟინრებისა, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეებისაგან.

* * *

ქარხნის კოლექტივის საერთო კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მისალმება გაუგზავნა ხალხთა ბელადს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება, მიძღვნილი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კრებამ ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგი ი. ბ. სტალინი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქართველოს მშრომელები დიდი ერთსულოვნებით და აღფრთოვანებით ასახელებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს

სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა წინასაარჩევნო კრებებზე სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი
ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი
ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი
კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

სტალინირი. (საქ. კორ.). საზეიმო განწყობილებაა. წინასაარჩევნო კრებაზე თავი მოუყრიათ პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს. ისინი აღფრთოვანებული არიან იმით, რომ ახორციელებენ სტალინური კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას და ასახელებენ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს.

სიტყვას იღებს სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ზ. ჯიოევი.

— დაუვიწყრად აღიბეჭდება, — ამბობს იგი, — თვითეული ჩვენგანის მეხსიერებაში ეს სასიხარულო დღე. ჩვენ შევიკრიბეთ საბჭოთა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, შევიკრიბეთ იმისათვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი გულისწადილი. ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორმა და სულისჩამდგმელმა დიდმა სტალინმა შეგვიქმნა ბედნიერი ცხოვრება. ახლა როცა თავი მოვიყარეთ იმისათვის, რომ დავასახელოთ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ჩვენი პირველი სიტყვა არის სტალინი.

ორატორის ამ სიტყვებს მქუხარე ტაშით ხვდებიან.

— საბჭოთა ხალხი, — განაგრძობს ორატორი, — დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ძლევამოსილად მიდის წინ კომუნიზმისაკენ. სტალინის სახელი მშვიდობისათვის ბრძოლის დიადი დროშაა. მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები სტალინის სახით ხედავენ თავიანთ ხსნასა და ნუგეშს. მე გამოვხატავ ყველა აქ დამსწრის სურვილს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ვასახელებ ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს.

ამხ. ზ. ჯიოევის წინადადებას მხარი დაუჭირეს ი. ბეკოევმა, გ. მიდოდაშვილმა და სხვ.

ტრიბუნასთან მიდიან სახეგაბრწყინებული ადამიანები, რომლებიც გამოხატავენ თავიანთ მხურვალე სიყვარულს მახლობელი და მშობლიური ადამიანისადმი, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრის — ამხანაგ სტალინისადმი.

წინასაარჩევნო კრებამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება—ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი დასახელებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ სტალინირის ბერიას № 4 საარჩევნო ოლქში.

მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი სტალინი ერთსულოვნად დაასახელეს სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა და სხვ.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე მოწინავე ადამიანმა ქ. კვალინიძემ თქვა:

— მთელ საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს ამხანაგ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი. ამხანაგ მოლოტოვს ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის თავდადებული ბრძოლით დამსახურებული აქვს მთელი პროგრესული კაცობრიობის პატივისცემა. დიდი წვლილი შეაქვს ამხანაგ მოლოტოვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. წინადადება შემომაქვს ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი დასახელებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამხ. ქ. კვალინიძის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი წინასაარჩევნო კრების ყველა მონაწილემ. კრების გადაწყვეტილებით ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი წამოყენებულია სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვა მას კენჭი იყაროს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ვანათის № 16 საარჩევნო ოლქში.

კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა მსახიობმა თინა ლოლაძემ.

— ჩვენი მშობლიური საქართველოს აღორძინება მჭიდროდ არის დაკავშირებული ლენინის ერთგული მოწაფის, დიდი სტალინის თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ძვირფას სახელთან. განუზომელია ლავრენტი ბერიას დამსახურება საქართველოს, ამიერკავკასიის, მთელი ჩვენი დიდი სამშობლოს წინაშე. ლავრენტი ბერია მხურვალედ უყვართ სამხრეთ ოსეთის მშრომელებს. ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ორმოცდაორის მრისხანე შემოდგომას, როცა ლავრენტი ბერიამ კავკასიის დაცვის ორგანიზაციით უზრუნველყო გერმანელ ფაშისტთა შავბნელი ურდოების განადგურება ჩვენი მთების მისადგომებთან. ომისშემდგომ წლებში, ისე როგორც ყოველთვის, ლავრენტი ბერია მთელ თავის ენერგიას ახმარს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას, ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. მე გამოვხატავ წინასაარჩევნო კრების ყველა მონაწილის მხურვალე სურვილს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ დიდი სტალინის თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ამ წინადადებას წინასაარჩევნო კრების მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

წინასაარჩევნო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია წამოყენებულ იქნას სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ სტალინირის სტალინის № 2 საარჩევნო ოლქში.

მთელ რიგ წინასაარჩევნო კრებებზე ოლქის მშრომელებმა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს დიდი სტალინის თანამებრძოლები ამხანაგები: გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. ბულგანინი, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი

მიწყდა მანქანების ხმაური. დამთავრდა სამუშაო დღე. დიდი სტალინისა და მის თანამებრძოლთა პორტრეტებით, ლოზუნგებით, საწარმოო წარმატებათა მაჩვენებელი დიაგრამებით, ქარხნის მოწინავე ადამიანთა სურათებით მორთულ კლუბში თავი მოიყარეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა. ისინი აქ შეიკრიბნენ, რათა დაასახელონ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

კრების მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

ტრიბუნაზეა ქარხნის დირექტორი ამხ. გ. ბერძენიშვილი.

— ყოველდღიურად მტკიცდება და იზრდება ჩვენი საბჭოთა სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება.—ამბობს იგი.—საბჭოთა ხალხი, რომელიც შემოქმედებითს შრომას ეწევა მეოთხე ხუთწლედის დავალებათა, ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, მტკიცე რწმენით მიდის წინ — კომუნიზმისაკენ. ჩვენი ქვეყანა, როგორც ბრწყინვალე შუქურა, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მიმავალ გზას უნათებს მთელი მსოფლიოს მშრომელებს. ჩვენ არ გვაშინებს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა მუქარა, რადგან ჩვენი შრომის, მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლის მედროშე დიდი სტალინია.

— დღეს აქ შევიკრიბენით, — ამბობს შემდეგ ამხ. ბერძენიშვილი, — რათა დავასახელოთ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის ჩვენი კანდიდატები. ჩემი წინადადებაა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ამხ. ბერძენიშვილის წინადადებას კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით ეგებებიან.

სიტყვას იღებს ქარხნის ცნობილი სტახანოველი ზეინკალი შ. ომანიძე. მას უკვე შესრულებული აქვს 15 წლის გეგმა და ახლა პროდუქციას შემდგომი წლების ანგარიშში უშვებს. მოწინავე სტახანოველი მხურვალედ უჭერს მხარს ამხანაგ მოლოტოვის კანდიდატურას და აცხადებს:

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, ისე როგორც ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა საწარმოთა კოლექტივები, მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა და მხურვალედ უჭერს მხარს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რადგან იგი მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველია. ამიტომ არის თვითეული ჩვენგანის გული აღსავსე გადაწყვეტილებით— არ დაიშუროს ძალღონე ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის დავალებათა შესასრულებლად. ჩვენმა ქარხანამ ვადამდე — 3 წელსა და 11 თვეში გაანაღდა თავისი ხუთწლედი, გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს. ერთი წუთითაც არ შევანელებთ აღებულ ტემპებს, წლიურ დავალებას 5 დეკემბრისათვის შევასრულებთ.

ტრიბუნაზეა ხარატი ვ. ამირგულოვი. იგი ამბობს:

— ვასახელებთ რა დეპუტატობის ჩვენს კანდიდატად ამხანაგ ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს, ამით დიდ ვალდებულებასაც ვკისრულობთ — ვიმუშაოთ უკეთესად, ძალების დაუზოგავად, რათა ჩვენი სახელოვანი კანდიდატის ღირსი ვიყოთ.

ქარხნის მოწინავე ადამიანები—სტახანოველი ზეინკალი მ. ბალდასაროვი, მღარავი ლ. გოქაძე, სამსხმელო საამქროს უფროსი ს. მაჩაიძე, სარემონტო საამქროს ოსტატი, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ე. ღუდუშაური, ინსტრუმენტალურ-ექსპერიმენტული საამქროს უფროსი ქ. შელია, მექანიკური საამქროს ოსტატი ს. ოსიპოვი ერთსულოვნად უერთდებიან გამოსულ ორატორთა წინადადებას დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ მოლოტოვის დასახელების შესახებ. მათი სიტყვები გამსჭვალულია საბჭოთა სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების გრძნობით. ისინი გულთბილად ლაპარაკობენ ამხანაგ მოლოტოვის დამსახურებაზე მშრომელთა წინაშე, მის უდიდეს როლზე საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების განმტკიცების საქმეში.

წინასაარჩევნო კრების მონაწილენი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად აგრეთვე ასახელებენ ქარხნის დირექტორს გ. ბერძენიშვილს, პარტბიუროს მდივანს ლ. პეტროსიანს, ქარხნის მთავარ ინჟინერს ლ. აივაზოვს, სტახანოველ ზეინკალს ლ. ტკაჩოვას, ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსს ს. ჯანფოლადოვს, სტახანოველ ხარატს ვ. ამირგულოვს.

წინასაარჩევნო კრებამ თბილისის მოლოტოვის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ინსტრუმენტალურ - ექსპერიმენტული საამქროს უფროსი ქ. შელია, სტახანოველი მრანდავი ვ. კვატაშიძე, შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი ი. დიასამიძე და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის ინსტრუქტორი შ. ხომასურიძე.

წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება—მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელოს ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი და თხოვა მას თანხმობა დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 143 საარჩევნო ოლქში.

კრებამ აგრეთვე თხოვნით მიმართა გ. ბერძენიშვილს, ლ. პეტროსიანს, ლ. აივაზოვს, ლ. ტკაჩოვას, ს. ჯანფოლადოვს, ვ. ამირგულოვს კენჭი იყარონ საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე, ხოლო ქ. შელიას, ვ. კვატაშიძეს, ი. დიასამიძეს და შ. ხომასურიძეს — რაიონული საბჭოს დეპუტატობაზე.

კრებამ დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციის გასაწევად აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით და მქუხარე ტაშით მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა აგრეთვე ამხანაგ მოლოტოვს.

კიროვის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო საერთო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგი

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

ინსტიტუტის კლუბის ვრცელი, ნათელი დარბაზი სავსეა პროფესორ-მასწავლებლებით, სტუდენტებით, მოსამსახურეებით. ისინი შეიკრიბნენ, რათა დაასახელონ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები.

წინასაარჩევნო კრებას ხსნის ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ჩაგუნავა.

მქუხარე ტაშით კრება საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით და ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანს.

სიტყვა ეძლევა დოცენტ ნ. ტყემალაძეს.

— ზეიმისა და აღმავლობის დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა, — თქვა ამხ. ტყემალაძემ. — რამდენიმე დღის წინათ ჩვენ ვიზეიმეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავი, ამჟამად ბედნიერება გვაქვს დავასახელოთ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები.

ყველა აქ დამსწრის სიამაყესა და სიხარულს იწვევს ჩვენი სახელოვანი დედაქალაქის წინსვლა და აღორძინება. ქალაქი თბილისი დღითიდღე იზრდება, იგი კიდევ უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება. თბილისის აღმავლობას ხელს უწყობდნენ ჩვენ მიერ წინა არჩევნებზე არჩეული დეპუტატები. ისინი უანგარო შრომით კიდევ უფრო განამტკიცებდნენ თბილისის კეთილმოწყობის საქმეში ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას ხელმძღვანელობით მოპოვებულ წარმატებებს. ამხანაგი ლავრენტი ბერია არის თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი და მეორე მოწვევის დეპუტატი. წინადადება შემომაქვს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მომავალ არჩევნებშიც დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ამხ. ტყემალაძის წინადადებას დარბაზი მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

— ერთსულოვნად ვუჭერ მხარს ამხ. ტყემალაძის წინადადებას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას დასახელების შესახებ, — ამბობს პროფესორი ა. ტერ-ხაჩატუროვი. — ამხანაგი ლავრენტი ბერია სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწეა. ამხანაგმა ბერიამ საქართველოში წლების მანძილზე თავისი სახელოვანი მუშაობით ააყვავა და ააღორძინა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. მან განუხრელად განახორციელა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ბრძნული სტალინური ნაციონალური პოლიტიკა. ამხანაგმა ბერიამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ამიერკავკასიის ხალხებს დიდ სამამულო ომში. მან მტკიცედ განახორციელა დიდი სტალინის დავალება და ფაშისტთა ურდოებისათვის მიუვალი გახადა ჩვენი მიწა-წყალი. ომისშემდგომ წლებში იგი კვლავ ჩვეული გაქანებით იბრძვის ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის.

სიტყვებით გამოსულმა დოცენტმა გ. კუპრაძემ, პროფესორებმა ა. რუხაძემ, პ. გამყრელიძემ, დოცენტებმა ი. ხუხუნაიშვილმა, ბ. ტოგონიძემ, სტუდენტმა ვ. ხუროშვილმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას დასახელებას, რითაც ყველა დამსწრის სულისკვეთება გამოხატეს.

კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა აგრეთვე ამხანაგები: საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. დ. კუპრაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი გ. ა. ქომეთიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე პროფესორი გ. ა. წულუკიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე გ. მ. მუხაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ი. ბ. სხირტლაძე.

წინასაარჩევნო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, დიდი სტალინის თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია დასახელებულ იქნას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის სტალინის რაიონის № 112 საარჩევნო ოლქში.

კრების მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს აგრეთვე დასახელებულ დანარჩენ ამხანაგებს კენჭი იყარონ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

კრებამ ნდობით აღჭურვილ პირებად აირჩია შემდეგი ამხანაგები: გ. ქომეთიანი, ბ. აბესაძე, ა. ჩხეტიანი, პ. გამყრელიძე, კ. ივანოვი, ვ. სირაძე.

კრებამ ერთხმად მიიღო მისალმება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. მისალმება გაეგზავნა აგრეთვე ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა, წევრ-კორესპონდენტთა, მეცნიერ თანამშრომელთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამხანაგი

კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გუშინ თავი მოიყარეს აკადემიის ნამდვილმა წევრებმა, წევრ-კორესპონდენტებმა, მეცნიერ თანამშრომლებმა, მოსამსახურეებმა. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილი კრება გახსნა აკადემიის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ს. ჭილაიამ. კრებამ მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით და ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილს.

— ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელები, — ამბობს აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, — დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. მთელ ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის ნიშნით ეწყობა მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები, სადაც ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ ხალხის რჩეულთ, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლებს. ისე, როგორც ყოველთვის, ახლაც საბჭოთა ხალხი დეპუტატობის პირველ კანდიდატად ასახელებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს. ამით ხალხი ერთხელ კიდევ გამოხატავს თავის განუზომელ სიყვარულს სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისადმი, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვრისა და მშვიდობის დიდი მედროშის ამხანაგ სტალინისადმი.

— მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივისაგან, — განაგრძობს ამხ. მუსხელიშვილი, — მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მე ვასახელებ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელს, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს.

ჩვენ, ქართველი მეცნიერები, განსაკუთრებით ვგრძნობთ ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის იმ მზრუნველობას, რასაც იგი იჩენს საქართველოში მეცნიერების შემდგომი აღორძინებისათვის. მეცნიერებისათვის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა გვავალებს უფრო ფართოდ გავშალოთ შემოქმედებითი მუშაობა, ხელი შევუწყოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

პროფესორმა კ. კეკელიძემ მხარი დაუჭირა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის წამოყენებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა ვარლამ თოფურიამ თქვა:

— დღევანდელი დღე იმ მრავალ სასიხარულო დღეთაგანია, რომელიც არაერთხელ განგვიცდია. ხელისუფლების ორგანოებში ჩვენი წარმომადგენლების დასახელება — ეს ზეიმია, სტალინური კონსტიტუციით მონიჭებული უფლების განხორციელებაა. თავის პირველ დეპუტატად ხალხმა დაასახელა ჩვენი მშობლიური მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი. დიდ სტალინთან ერთად, — ამბობს ამხ. ვ. თოფურია, — ხალხი დეპუტატობის კანდიდატად ულრმესი სიყვარულით ასახელებს ამხანაგ ლავრენტი ბერიას და დიდი სტალინის სხვა თანამებრძოლებს. ამხანაგ ლ. ბერიას მიერ დანერგილი სტალინური ტრადიციის სახელოვანი განმგრძობია ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი, რომლის ხელმძღვანელობითაც დღითიდღე წინ მიდის ჩვენი რესპუბლიკა. ამიტომ მხურვალედ ვუჭერ მხარს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის კანდიდატურას.

ტრიბუნაზე ადის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ლომთათიძე.

— საქართველოს ენათმეცნიერები, — თქვა მან, — ყოველდღიურად გრძნობენ ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მზრუნველობას. არა მარტო ენათმეცნიერება, არამედ მეცნიერების ყველა დარგი პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების საგანია. დიდი სიხარულით ვუერთდები წინადადებას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის დასახელების შესახებ.

მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა ამომრჩეველთა სახელით სიტყვა წარმოთქვა და ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის კანდიდატურას მხარი დაუჭირა ამხ. ლილი ასათიანმა.

პოეტმა აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა გულთბილად და დიდი გრძნობით წაიკითხა ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი.

* * *

კრებამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება: საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი დასახელებულ იქნას თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის № 237 საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის № 237 საარჩევნო ოლქში ნდობით აღჭურვილ პირად აირჩიეს აკადემიკოს-მდივანი ამხ. ილია ვეკუა.

წინასაარჩევნო კრებამ მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღო ამხანაგ სტალინისათვის გასაგზავნი მისალმების ტექსტი. მისალმება გაეგზავნა აგრეთვე ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი რამ ბიოლოგიური სახეობის მეცნიერებაში

დღემდე ბიოლოგიის მეცნიერებაში არა გვაქვს **სახეობის** ცნების ნათელი განსაზღვრა. ამავე დროს თვითეულ ბიოლოგს, რომელიც ცოცხალ ბუნებას აკვირდება, განსაკუთრებით პრაქტიკის ადამიანებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს, რომლებსაც საქმე აქვთ მცენარეებთან, ცხოველებსა და მიკროორგანიზმებთან, უწინარეს ყოვლისა თვალში ეცემა, რომ მთელი ურთიერთდაკავშირებული ორგანული ბუნება შედგება ცალკე, თვისებრივად თავისებური ფორმებისაგან. მაგალითად, ცხენი, ძროხა, თხა, ცხვარი ან ხორბალი, ჭვავი, შვრია, ქერი, ჭარხალი ცხოველთა და მცენარეთა ცალკე, თვისებრივად თავისებური ფორმებია. ჩვეულებრივ, ამ ფორმებისათვის ნორმალური სიცოცხლის პირობებში მათი შეჯვარება ერთმანეთთან არ ხდება ან შეჯვარებისას ისინი ნორმალურ ნაყოფიერ შთამომავლობას არ იძლევიან. სწორედ ორგანიზმების ფიზიოლოგიურად ასეთი შეუთავსებადი ფორმები წარმოადგენენ სახეობებს.

თვით აღნაგობა ცოცხალი ბუნებისა, რომელიც ბევრი რამით ერთმანეთის მსგავს, მაგრამ ამავე დროს ცალკე, გამიჯნულ, თავისებურ იმ ფორმათა — სახეობათა ჯგუფებისაგან შედგება, რომელთა შეჯვარებაც სიცოცხლის ჩვეულებრივ პირობებში არ ხდება, ძველთაგანვე უკარნახებდა ნატურალისტებს, რომ სახეობანი ერთიმეორისაგან წარმოიშვებიან, რომ ახლობელ სახეობათა შორის ბევრი საერთოა და რომ ეს საერთო, რაც მათს წარმოშობით კავშირს გვიჩვენებს, სწორედ გვარეობითია. ამიტომ თვითონ ცოცხალმა ბუნებამ მოახვია თავს მეცნიერებას სახეობათა ორმაგი სახელწოდებანი, მაგალითად, რბილი ხორბალი, მაგარი ხორბალი და ა. შ.

დარვინამდელ ბიოლოგიაში ბატონობდა მეტაფიზიკური, ანტიმეცნიერული შეხედულება სახეობის შესახებ. **ფიქრობდნენ, რომ სახეობითი ფორმები უცვლელია და რომ ისინი თავიანთ წარმოშობასა და განვითარებაში ერთმანეთთან დაკავშირებული არაფრით არ არიან.** ამტკიცებდნენ, რომ ერთი სახეობა არ შეიძლება წარმოშობილი იყოს მეორე სახეობისაგან, რომ თვითეული სახეობა თითქოს შექმნილია ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ლამარკმა და განსაკუთრებით დარვინმა ევოლუციური მოძღვრების შექმნით გააბათილეს მეტაფიზიკური ბიოლოგიის ყალბი მტკიცება სახეობითი ფორმების მარადიულობისა და უცვლელობის შესახებ, მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წარმოშობის შესახებ.

დარვინმა თავის ევოლუციური მოძღვრებით დაამტკიცა, რომ მცენარეთა და ცხოველთა ფორმები — სახეობანი წარმოშობილია ერთიმეორისაგან. ამით ცხადი გახდა, რომ ცოცხალ ბუნებას აქვს თავისი ისტორია, თავისი წარსული, აწმყო და მომავალი. ეს არის დარვინის თეორიის ერთ-ერთი უკვდავი დამსახურება.

მაგრამ დარვინიზმის საფუძველია ცალმხრივი, ზერელე ევოლუციონიზმი. ევოლუციის თეორია ემყარება მხოლოდ რაოდენობითი ცვლილების აღიარებას. მან არ იცის გარდაქმნათა აუცილებლობა, კანონზომიერება, ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა. ამავე დროს თუ ერთი თვისებრივი მდგომარეობა მეორე თვისებრივ მდგომარეობად არ იქცევა, თუ ძველის წიაღში არ წარმოიშვება ახალი თვისებრივი მდგომარეობა, არ არის განვითარება, არამედ არის მხოლოდ გადიდება ან შემცირება რაოდენობისა, არის მხოლოდ ის, რასაც ჩვეულებრივ ზრდა ეწოდება.

დარვინიზმმა ბიოლოგიის მეცნიერებაში დაამკვიდრა ევოლუციის, ერთი ორგანული ფორმის მეორისაგან წარმოშობის იდეა. მაგრამ ცოცხალ ბუნებაში განვითარება დარვინიზმს ესმოდა მხოლოდ როგორც მთლიანი უწყვეტი ხაზი. ამიტომ ბიოლოგიის მეცნიერებაში, სწორედ მეცნიერებაში და არა პრაქტიკაში, სახეობანი აღარ მიაჩნდათ ცოცხალი ბუნების რეალურ, ცალკე თვისებრივ მდგომარეობებად.

მაგალითად, „სახეობათა წარმოშობაში" დარვინი წერდა: „ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ტერმინი სახეობა მე მიმაჩნია სავსებით ნებისმიერ, მოხერხებულობისათვის გამოგონილ, ერთიმეორის ძალიან მსგავს ინდივიდთა ჯგუფების აღსანიშნავ ტერმინად, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ტერმინისაგან — ნაირსახეობა, რომლითაც აღინიშნება ერთმანეთისაგან უფრო ნაკლებ მკვეთრად განსხვავებული და უფრო მეტად მერყევი (თავისი ნიშნებით) ფორმები. ტერმინი—ნაირსახეობაც, მხოლოდ ინდივიდუალურ განსხვავებებთან შედარებით, გამოყენებულია ნებისმიერად, მოხერხებულობის გულისათვის"*).

ამასვე წერდა კ. ა. ტიმირიაზევიც: „ნაირსახეობა და სახეობა მხოლოდ დროის მიხედვით განსხვავდებიან. რაიმე მიჯნა აქ წარმოუდგენელია" **).

ამრიგად, დარვინის თეორიით, ბუნებრივი მიჯნა, წყვეტილობა სახეობათა შორის არ უნდა იყოს.

ზერელე ევოლუციონიზმის თეორიის თანახმად ორგანული სამყაროს განვითარება განისაზღვრება მხოლოდ ნელი რაოდენობითი ცვლილებებით, არ ხდება ძველის წიაღში ახლის წარმოშობა, ახალი თვისებრიობის, როგორც თვისებათა სხვაგვარი ერთობლიობის, შემდგომი განვითარება. ამ თეორიის მტკიცებით, ერთი სახეობის მეორე სახეობისაგან მისაღებად საჭიროა იმდენად დიდი დრო, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ვითომ არ შეიძლება ვამჩნევდეთ ერთი სახეობის მიღებას, გაჩენას მეორე სახეობისაგან.

იგივე თეორია ამბობს, რომ ახალს, წარმოშობილ და ძველს, წარმომშობ სახეობათა შორის ფაქტიურად მიჯნა არ უნდა იყოს. ამიტომ თითქოს საერთოდ შეუძლებელია აღმოვაჩინოთ ახალი სახეობის წარმოშობა ძველის წიაღში.

მთლიანი თანდათანობითობის თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც ამტკიცებს, რომ სახეობათა შორის მიჯნები არ უნდა იყოს, ასეთი მიჯნები სინამდვილეში არსებობს, და თვითეულ ნატურალისტს ეს ძველთაგანვე ეცემოდა თვალში. ამიტომ სახეობათა წყვეტილობის ასახსნელად დარვინიზმი იძულებული იყო გამოეგონებინა ეგრეთწოდებული შიდასახეობრივი კონკურენცია, შიდასახეობრივი ბრძოლა. ამ თეორიით ყველა შუალედური ფორმები, რომლებიც ვითომ მთლად ავსებდნენ სახეობათა წყვეტილობას და, ამრიგად, ორგანული ბუნების მთლიან ხაზს შეადგენდნენ, ბრძოლის პროცესში გაქრნენ როგორც უფრო ნაკლებად შეგუებულნი.

ამრიგად, ევოლუციონიზმის თეორიასა და მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ნამდვილ განვითარებას შორის აშკარა შეუსაბამობის შესანელებლად დარვინმა გამოიყენა მალთუსის რეაქციული ცრუმოძღვრება შიდასახეობრივი ბრძოლის შესახებ. ეს ბრძოლა თითქოს იმითაა გამოწვეული, რომ ბუნებაში ყოველთვის იბადება მოცემული სახეობის მეტი ინდივიდი, ვიდრე ამის საშუალებას იძლევა მათი სიცოცხლისათვის არსებული პირობები. სწორედ ამ საფუძველზე აგო დარვინმა თეორია ეგრეთწოდებული დივერგენციისა, ე. ი. ნიშნების დაშორიშორების, ორგანული ფორმების მთლიან ხაზში წყვეტილობათა და მიჯნათა წარმოქმნისა, რის შედეგადაც ვითომ წარმოიშვა ერთმანეთისაგან ადვილად გასარჩევი ჯგუფები — მცენარეთა და ცხოველთა სახეობანი. მაშასადამე, ახლობელ სახეობათა შორის მიჯნები, წყვეტილობა დარვინიზმის თანახმად, წარმოიშვა არა თვისებრივი ცვლილების შედეგად, არა ორგანიზმების — მცენარეთა თუ ცხოველთა სახეობების თვისებრივად ახალი ჯგუფების წარმოშობის შედეგად, არამედ იმ ფორმების მექანიკური ამოვარდნის, ერთიმეორის მიერ მოსპობის შედეგად, რომელნიც თვისებრივად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან და ერთმანეთთან მიჯრით არიან უწყვეტ მწკრივში.

აი სწორედ ამიტომ ზერელე ევოლუციონიზმის მოძღვრების ყველა მიმდევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ **სახეობანი** თეორიაში მეცნიერებითა და პრაქტიკით აღმოჩენილი **ცოცხალი ბუნების განვითარების პროცესის შედეგი** კი არ არის, არამედ კლასიფიკაციის მოხერხებულობისათვის მოგონილი პირობითობაა.

ამრიგად, წინათაც და ახლაც აშკარა წინააღმდეგობაა ევოლუციონიზმის თეორიასა და სინამდვილეს შორის, ესე იგი ორგანული ბუნების განვითარებას შორის. ამიტომ დარვინიზმს შეეძლო მხოლოდ ასე თუ ისე აეხსნა ორგანული სამყაროს განვითარება. მაგრამ ეს ახსნა არ შეიძლება ყოფილიყო პრაქტიკული გარდაქმნის ქმედითი თეორიული საფუძველი, არ შეიძლება ყოფილიყო პრაქტიკის ინტერესებისათვის ცოცხალი ბუნების გეგმიანი შეცვლის თეორიული საფუძველი.

საუკეთესო ბიოლოგი, მგზნებარე მებრძოლი მეცნიერებაში იდეალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ კ. ა. ტიმირიაზევი, თუმცა თავის ხანაში არ ჰქონდა შესაძლებლობა გადაელახა მეცნიერებაში ზერელე ევოლუციონიზმი დარვინიზმისა, მაგრამ ნათლად ხედავდა, რომ სახეობანი პირობითობას კი არა, ბუნების რეალურ მოვლენებს წარმოადგენენ. ამიტომ კ. ა. ტიმირიაზევი წერდა: „ეს მიჯნები, ეს წყვეტილი რგოლები ორგანული ჯაჭვისა ბუნებაში არ შეუტანია ადამიანს, არამედ თვითონ ბუნებამ თავს მოახვია ადამიანს. ეს რეალური ფაქტი რეალურსავე ახსნას მოითხოვს"*).

მაგრამ ზერელე ევოლუციონიზმის პოზიციიდან ასეთი რეალური ახსნა არც შეიძლებოდა, და თვითონ კ. ა. ტიმირიაზევი სჯერდებოდა მცდარ დარვინულ ახსნას—ხსნიდა ამ ფაქტს, როგორც ვითომ არსებული შიდასახეობრივი კონკურენციის შედეგს.

მხოლოდ ჩვენს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, სადაც გაბატონებული მსოფლმხედველობა ამხანაგ სტალინის ნაშრომებით განვითარებული დიალექტიკური მატერიალიზმია, რეალურმა ბიოლოგიურმა ფაქტებმა — სახეობებმა მიიღეს რეალური ახსნის შესაძლებლობა. სოციალისტური სოფლის მეურნეობა ყველა შესაძლებლობას იძლევა მატერიალისტური ბიოლოგიური მეცნიერების, მიჩურინული მოძღვრების — შემოქმედებითი დარვინიზმის უსაზღვრო განვითარებისათვის.

მიჩურინის მოძღვრებას — შემოქმედებით დარვინიზმს განვითარება ესმის არა როგორც ზერელე ევოლუცია, არამედ როგორც წარმოშობა ძველის წიაღში მისი საწინააღმდეგო ახალი თვისებრიობის საწყისისა, რომელშიც მის თავისებურებათა თანდათანობითი რაოდენობრივი დაგროვება ხდება და, ძველ თვისებრიობასთან ბრძოლის პროცესში, ყალიბდება ახალ პრინციპულად განსხვავებულ თვისებათა ერთობლიობად, რომელსაც არსებობის თავისი საკუთარი განსხვავებული კანონი აქვს.

დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელიც განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ამხანაგ სტალინის მოძღვრებამ, საბჭოთა ბიოლოგებისათვის, მიჩურინელებისათვის ყველაზე ძვირფასი და მძლავრი თეორიული იარაღია ბიოლოგიის ღრმა საკითხების, მათ შორის აგრეთვე ერთი სახეობიდან მეორე სახეობის წარმოშობის საკითხის გადასაწყვეტად.

ბუნებაში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში სახეობათა შორის ყოველთვის არის შეფარდებითი, მაგრამ სავსებით გარკვეული მიჯნები. შეფარდებითი, მაგრამ სავსებით გარკვეული სახეობრივი მიჯნებით ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ განსხვავებებს, როცა სახეობათა შორის მსგავსებასთან ერთად ყოველთვის არსებობს სახეობრივი განსხვავებაც, რომელიც ორგანულ ბუნებას ყოფს თვისებრივად განსხვავებულ, თუმცა ურთიერთდაკავშირებულ რგოლებად — სახეობებად.

სახეობათა, როგორც ცოცხალი მატერიის სხვადასხვა თვისებრივად გარკვეულ მდგომარეობათა, შორის ფორმების მთლიანი უწყვეტი მწკრივი არ შეინიშნება არა იმიტომ, რომ განუწყვეტლივ ერთმანეთთან მიჯრილი ფორმები გადაშენდა ურთიერთ კონკურენციის შედეგად, არამედ იმიტომ, რომ ასეთი უწყვეტობა არ ყოფილა და არ შეიძლება იყოს ბუნებაში. მთლიანი უწყვეტობა ბუნებაში არ არის, უწყვეტობა და წყვეტილობა მუდამ ერთიანობას წარმოადგენს.

სახეობა მატერიის ცოცხალი ფორმების განსაკუთრებული თვისებრივად განსაზღვრული მდგომარეობაა. მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა სახეობების არსებითი დამახასიათებელი ნიშანია ინდივიდთა განსაზღვრული შიდასახეობრივი ურთიერთდამოკიდებულება. ეს შიდასახეობრივი ურთიერთდამოკიდებულება თვისებრივად განსხვავდება სხვადასხვა სახეობათა ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულებისაგან. ამიტომ **სახეობათაშორისი ურთიერთდამოკიდებულებისაგან შიდასახეობრივი ურთიერთდამოკიდებულების თვისებრივი განსხვავება ნაირსახეობებისაგან სახეობრივი ფორმების გარჩევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია.**

მცდარია მტკიცება, რომ ნაირსახეობა არის ახალჩასახული სახეობა, ხოლო სახეობა—მკვეთრად გამოხატული ნაირსახეობა.

ნაირსახეობანი მოცემული სახეობის არსებობის ფორმებია და არა სხვა სახედ მისი გადაქცევის საფეხურები. ნაირსახეობათა სიმრავლე მოცემული სახეობის მრავალმხრივი ეკოლოგიური შეგუებით არის უზრუნველყოფილი, ხელს უწყობს მის აყვავებას და შენარჩუნებას.

რაც უფრო მეტი ნაირსახეობა აქვს ამა თუ იმ სახეობას, რაც უფრო მრავალფეროვანია შიდასახეობრივი პოპულაციები, მით უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი, თუნდაც, მაგალითად, ჯვარედინი დამტვერვით, სახეობის და ყველა მის ნაირსახეობათა აყვავების შესაძლებლობა.

ინდივიდთა შიდასახეობრივი ურთიერთდამოკიდებულება, როგორც უკვე იყო ნათქვამი, თვისებრივად განსხვავდება სხვადასხვა სახეობათა ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულებისაგან. ამიტომ ცნება სახეობაც ბიოლოგიის მეცნიერებაში პრინციპულად განსხვავდება სხვა ბოტანიკური და ზოოლოგიური ცნებებისაგან, ისეთი ცნებებისაგან, როგორიცაა გვარეობა, ოჯახი და ა. შ.

ადვილი შესამჩნევია, რომ ერთი და იგივე ბოტანიკური ან ზოოლოგიური გვარეობის სხვადასხვა სახეობათა ინდივიდების ურთიერთდამოკიდებულება არათუ ხელს არ უწყობს მოცემულ სახეობათა აყვავებას, არამედ ისინი კონკურენტული, ანტაგონისტური არიან. ამიტომ ბუნებაში და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში ჩვეულებრივ ძნელია ვიპოვოთ იმის მაგალითები, რომ ხანგრძლივად თანაარსებობდნენ შერეულად (პოპულაციებად) სხვადასხვა, მაგრამ ახლობელი სახეობების, ე. ი. ერთი და იგივე ბოტანიკური გვარეობის ინდივიდები. მცენარეთა სახეობების თანაარსებობა ყოველთვის არის. მაგრამ ეს სახეობანი ერთმანეთს დაშორებული არიან, სხვადასხვა ბოტანიკურ გვარეობას ეკუთვნიან. ერთი და იგივე ბოტანიკური გვარეობის სახეობათა თანაარსებობა კი შესაძლებელია მხოლოდ კურტინებად, ბუდეებად თვითეული სახეობის ინდივიდთა განლაგების დროს.

ამიტომ ცნება გვარეობა ბოტანიკასა და ზოოლოგიაში შეესაბამება არა ჩვეულებრივ ნათესაობრივ კავშირს, ისეთს, როგორიცაა შიდასახეობრივი, არამედ მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ერთი და იგივე გვარის სახეობათა შორის უშუალო წარმოშობითი კავშირი არსებობს. გვარეობის ცნება უნდა ახასიათებდეს მორფოლოგიურად მსგავს, მაგრამ თვისებრივად ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეობებს.

ერთი და იმავე გვარეობის სხვადასხვა სახეობის ინდივიდები, მიუხედავად გარეგანი მსგავსებისა, მათთვის ჩვეულ სიცოცხლის პირობებში არ შეჯვარდებიან ანდა შეჯვარების შემდეგ არ იძლევიან ნორმალურად ნაყოფიერ შთამომავლობას, ე. ი. ისინი ფიზიოლოგიურად შეუთავსებადი არიან. გარდა ამისა, ერთი და იმავე გვარეობის სახეობათა ურთიერთობა, როგორც უკვე ვთქვით, კონკურენტულია, ურთიერთ გამომრიცხველია.

სახეობანი არიან ცოცხალი ბუნების ჯაჭვის რგოლები. ესენი არიან თვისებრივი განკერძოებულობის ეტაპები, ორგანული სამყაროს თანდათანობითი ისტორიული განვითარების საფეხურები.

ბუნებაში სახეობათა შორის არსებობენ სახეობრივი თვისებრივი განსხვავებანი, შედარებითი, მაგრამ სრულიად გარკვეული მიჯნები. სწორედ ისინი უნდა მოიძებნოს იმისათვის, რომ სისტემატიკასა და კლასიფიკაციაში სწორად შემოიხაზოს სახეობრივი ფორმები, მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა ჯგუფები.

სწორი არ არის აგრეთვე დებულება, რომ სახეობანი დროის არავითარ პერიოდში არ ინარჩუნებენ თავიანთი თვისებრივ-სახეობრივი გარკვეულობის მუდმივობას. ნამდვილად კი ბუნებაში მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა ესა თუ ის სახეობანი მანამდე არსებობენ, სანამ არსებობს ამ სახეობათა ინდივიდების სიცოცხლისათვის საჭირო პირობები.

სხვა სახეობათაგან ზოგიერთი სახეობის წარმოშობის პირველმიზეზს, ისე როგორც ფორმების შიდასახეობრივი სხვადასხვაობის გამოჩენის პირველმიზეზს წარმოადგენს მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლის პირობების შეცვლა, ნივთიერებათა გაცვლის ტიპის შეცვლა.

ახალ სახეობათა ჩასახვა და განვითარება დაკავშირებულია ორგანიზმების განვითარების პროცესში ნივთიერებათა გაცვლის ტიპის ისეთ ცვლილებებთან, რომლებიც გავლენას ახდენენ მათს სახეობრივ სპეციფიკაზე.

ამას მოწმობს ფაქტიური მასალა, რომელიც უკანასკნელ წლებში მიღებულია მცენარეულ სამყაროში სახეობათა წარმოქმნის საკითხზე კვლევითი მუშაობის შედეგად.

1948 წელს ვ. კ. კარაპეტიანის ცდებში გამოირკვა, რომ 28-ქრომოსომიანი მაგარი ხორბლის ზამთრისპირას დათესვისას მცენარეთა ნაწილი საკმაოდ მალე, ორ-სამი თაობის მანძილზე, იქცევა სხვა სახეობად, 42-ქრომოსომიან რბილ ხორბლად.

მცენარეული ორგანიზმის სხეულის გენეტიკურ ნაირთვისებრიობაზე დაყრდნობით, რაც წინათ დადგენილი იყო მიჩურინული ბიოლოგიით, გადაწყდა რბილი 42-ქრომოსომიანი ხორბლის მარცვლები ეძებნათ საცდელი მცენარეების მაგარი ხორბლის თავთავებში. ამის შედეგად მაგარი ხორბლის თავთავებში საკმაოდ მალე აღმოჩენილ იქნა რბილი ხორბლის ცალკეული მარცვლები, ე. ი. ერთი ბოტანიკური სახეობის მარცვლები იპოვეს მეორე სახეობის თავთავებში.

მაგარი ხორბლის თავთავებიდან ამოღებული რბილი ხორბლის ასეთი მარცვლის დათესვისას, როგორც წესი, იზრდებოდა რბილი ხორბლის მცენარე. ყურადღებით ძებნისას მრავალი რაიონის ჩვეულებრივ საწარმოო ნათესებშიც ყოველ წელს შეიძლება აღმოჩენილ იქნას რბილი ხორბლის მარცვლები მაგარი ხორბლის ზოგიერთ თავთავში.

1949 წელს მოეწყო ჭვავის მარცვლების ძებნა მთისძირა რაიონების ყანების ხორბლის თავთავებში, სადაც საშემოდგომო ხორბლის ნათესები ხშირად დასარევლიანებულია ჭვავით. ჭვავით ხორბლის დასარევლიანების პირველწყარო ამ რაიონებში უკანასკნელ წლებამდე მეცნიერებაში ცნობილი არ იყო.

მეცნიერმა მუშაკებმა ვ. კ. კარაპეტიანმა, მ. მ. იაკუბცინერმა, გ. ნ. გრომაჩევსკიმ, აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა მეცნიერმა მუშაკებმა, აგრონომებმა, სტუდენტებმა სხვადასხვა მთისძირა რაიონის ყანებში მაგარი და რბილი ხორბლის თავთავებში, ე. ი. ორი სახეობის ხორბლის თავთავებში, აღმოაჩინეს ჭვავის ერთეული მარცვლები. ჭვავის ასეთი მარცვლები ორას ცალზე მეტი იპოვეს 1949 წელს.

ჭვავის იმ მარცვლების დათესვის შემდეგ, რომლებიც მაგარი და რბილი ხორბლის თავთავებში განვითარდნენ, მცირე გამონაკლისის გარდა, გაიზარდნენ სხვადასხვა, მაგრამ მაინც ჭვავის ტიპობრივი მცენარეები. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ჭვავისებური მარცვლებიდან მიღებულ იქნა ხორბლის მცენარე.

ერთი სახეობის მცენარეთა თავთავებში მეორე სახეობის მარცვლების პოვნის ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში თვით მცენარეები, ისე როგორც მათი თავთავები, თვალით, გარეგანი ნიშნებით არ შეიძლებოდა მიგვეკუთვნებინა რომელიმე შუალედი ფორმისათვის. ისინი გვეჩვენებოდა ტიპობრივ, ჩვეულებრივ, მაგარ ან რბილ ხორბლად. მაგრამ ხორბლის ამ მცენარეთა შინაგანი მდგომარეობა უკვე არ იყო ჩვეულებრივი, სახეობრივი მხრივ თვისებრივად ერთგვარი. ამას მოწმობს ის, რომ ხორბლის ამ მცენარეებმა წარმოშვეს არა მარტო ხორბლის მარცვლები, არამედ ჭვავის მარცვლებიც, ესე იგი სხვა სახეობის მარცვლები.

1949 წელს ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიას გამოუგზავნეს შვრიის ნიმუში, რომლის თავთავში შვრიის მარცვლებთან ერთად იყო შვრიუკას ერთეული მარცვლები, ე. ი. ერთი სახეობის — შვრიის მცენარეებმა წარმოშვეს მეორე სახეობის — შვრიუკას ცალკეული მარცვლები. როგორც ჩვენს, ისე უცხოეთის ლიტერატურაში არის მრავალი მითითება, რომ შვრიის წმინდა თავთავებში ნაპოვნია შვრიუკას მარცვლები.

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საცდელ ნაკვეთებზე, აგრეთვე მთელ რიგ სხვა ადგილებში დატოტვილი ხორბლის მოყვანისას ყოველ წელს ამჩნევენ ამ ხორბლის ნათესებში რბილი და მაგარი ხორბლის, შვრიის, ორმწკრივიანი და ოთხმწკრივიანი ქერის, აგრეთვე საგაზაფხულო ჭვავის შენარევებით დასარევლიანებას.

ყველა ჩვენმა დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ამ შენარევების გამოჩენის პირველწყარო თვით დატოტვილი ხორბალია.

1950 წელს ქერის იმ მცენარეებში, რომლებიც შენარევს წარმოადგენდნენ დატოტვილი ხორბლის ნათესებში, ზოგიერთ შემთხვევაში აღმოაჩინეს, რომ ქერის ეს მცენარეები განვითარდნენ ისეთი მარცვლებიდან, რომლებიც გარეგნული სახით არაფრით არ განსხვავდებოდნენ ხორბლის მარცვლებისაგან.

პრაქტიკაში დიდი ხანია და არა ერთგზის გამოთქმულა აზრი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მცენარეების ერთი სახეობის სხვა სახეობად გადაქცევისა თუ გადაგვარების შესახებ, მაგალითად, ხორბლის ჭვავად გადაქცევის შესახებ.

მაგრამ მეცნიერების წარმომადგენლები პრინციპულად უარს ამბობდნენ ერთი სახეობის ნათესებში მეორე სახეობის მცენარეული ფორმების სახეობათა ყველა ასეთი აღმოჩენა განეხილათ როგორც ერთი სახეობის მეორე სახეობად გადაქცევის შედეგი. ყოველთვის გამოთქვამდნენ კატეგორიულ ეჭვს. დადგენილი არ ყოფილა, ასეთი დასარევლიანების პირველმიზეზს ხომ არ წარმოადგენს ჩვეულებრივი, მექანიკური შერევა, რაც ხშირად ხდება. არ იყო იმის რწმენა, რომ საწყის მარცვლებში მართლაც არ ერია ერთეული მარცვლები — სხვა სახეობის შენარევი; არ იყო რწმენა, რომ იმ ყანაში, სადაც ერთი სახეობის თესლი დაითესა, წყალს, ქარს, ფრინველებსა და სხვ. არ შეუტანიათ მეორე სახეობის მარცვლები; არ იყო იმის რწმენა, რომ ამ ნათესში შენარევთა სახეობის თესლი დიდხანს არ ინახებოდა ნიადაგში, და სხვ.

აი ამიტომ წარსული ფაქტების საფუძველზე არ შეიძლებოდა დამტკიცებულიყო, რომ სხვადასხვა შენარევისა და ნათესთა ზოგიერთი სარეველას პირველწყარო, გარდა ხშირი მექანიკური მათი შეტანისა, შეიძლება იყოს **მცენარეთა ფორმების ერთი სახეობის მიერ მეორე სახეობათა წარმოშობაც.**

ერთი სახეობის მიერ სხვა სახეობათა წარმოშობის წინააღმდეგ ყველა ზემოჩამოთვლილი საწინააღმდეგო აზრი ჩვენ მიერ მოყვანილ შემთხვევებში გაბათილებულია. მართლაც, ჭვავის ცალკეული მარცვლები, აღმოჩენილნი იმ ხორბლის თავთავებში, რომელიც რამდენიმე თაობის მანძილზე გარკვეულ პირობებში ხარობდა, არავითარი გზით არ შეიძლებოდა შეტანილი ყოფილიყო ამ თავთავებში გარედან არც ფრინველების, არც ადამიანის მიერ, არც საერთოდ არავითარი სხვა გზით.

ჭვავის ეს მარცვლები წარმოშვა ხორბლის მცენარემ და განვითარდნენ ხორბლის თავთავებში.

ბათილდება აგრეთვე აზრი ამ მარცვლების ჰიბრიდული წარმოშობის შესახებ. ცნობილია, რომ ხორბალი შეიძლება შეჯვარებულ იქნას ჭვავთან, თუმცა იშვიათად. მაგრამ ასეთ შემთხვევებში ვიღებთ აშკარად ჭვავ-ხორბლის ჰიბრიდს, რომელიც გარეგნული სახით ადვილად გაირჩევა ხორბლისაგანაც და ჭვავისაგანაც. გარდა ამისა, ჭვავ-ხორბლის ჰიბრიდები, როგორც წესი, თვითსტერილებული არიან, თესლს არ იძლევიან და შეუძლიათ თესლი მოგვცენ მხოლოდ ერთ-ერთი მშობლის, ყველაზე უკეთესად, ხორბლის მტვრით მათი დამტვერვისას. ამ შემთხვევაში ხორბლის თავთავებიდან ამოღებულმა ჭვავის მარცვლებმა მოგვცეს ნორმალური ნაყოფიერების ჭვავის ჩვეულებრივი მცენარეები. აღნიშნულ მცენარეებს არავითარი ჰიბრიდული თვისებანი არ გამოუჩენიათ.

ასევე შეიძლება ითქვას ჩვენ მიერ ნახსენებ სხვა ფაქტებზეც.

ერთი სახეობის მცენარეთა მიერ სხვა სახეობათა წარმოშობის მოყვანილი მაგალითები იმით არის ძვირფასი, რომ ანალოგიური ფაქტები შეიძლება შევამჩნიოთ სათანადო ყანებში ყოველ წელიწადს. ასეთი ფაქტები შეიძლება მივიღოთ აგრეთვე, თუ მცენარეებს გამოვზრდით ექსპერიმენტულ ვითარებაში სპეციალურად ამ მიზნისათვის წარმოებულ ნათესებში.

ჯერჯერობით მიღებული ფაქტიური მასალა სახეობათა წარმოქმნის საკითხზე შეეხება მხოლოდ მცენარეულ სამყაროს. იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სახეობის წარმოქმნა ცხოველთა სამყაროში, ჯერ კიდევ არ არსებობს საჭირო ფაქტობრივი ცნობები. მაგრამ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ მიჩურინული ბიოლოგიის თეორიის განვითარება მალე მოგვცემს შესაძლებლობას ზოოლოგიის ობიექტების შესახებაც დავაგროვოთ მცენარეთა სამყაროს ანალოგიური მასალის ფაქტიური მასალა.

მცენარეულ სამყაროში სახეობათა წარმოქმნის საკითხზე არსებული მასალა საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ, რომ, თუ ყველა არა, მცენარეთა არსებულ სახეობათაგან ბევრი ამჟამადაც შეიძლება კვლავ წარმოიქმნას და სათანადო პირობებში არა ერთგზის წარმოქმნილა სხვა სახეობათა მიერ. ამასთან ერთსა და იმავე მცენარეულ სახეობას შეუძლია წარმოქმნას სხვადასხვა მისი ახლობელი სახეობანი. მაგალითად, ერთი და იმავე სახეობის მაგარ ხორბალს შეუძლია მოგვცეს როგორც მაგარი ხორბალი, ისე ჭვავიც.

გარემოს პირობების გამოცვლა, რაც არსებითია მოცემული ორგანიზმების სახეობრივი სპეციფიკისათვის, ადრე თუ გვიან ცვლის სახეობრივ სპეციფიკასაც—ერთი სახეობანი წარმოშობენ სხვა სახეობათ. იმ შეცვლილი პირობების ზეგავლენით, რომლებიც არახელსაყრელი გახდნენ აქ განხილულ სახეობათა მცენარეების ორგანიზმების ბუნებისათვის (მემკვიდრეობითობისათვის), ამ სახეობათა ორგანიზმების სხეულში ისახებიან, ყალიბდებიან სხვა სახეობათა სხეულების ჩანასახები, რომლებიც უფრო შეეფერებიან გარემოს შეცვლილ პირობებს. ერთი და იმავე მცენარეული ორგანიზმის სხეულის ასეთი ნაირთვისებრიობა, რაც სხვადასხვა სახეს ახასიათებს, ზოგიერთ შემთხვევაში შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლება შევამჩნიოთ.

გარემოს სათანადო პირობების ზეგავლენით მცენარეული სხეულის სახეობრივი ნაირთვისებრიობის წარმოქმნით აიხსნება ერთი სახეობების მიერ უკვე დიდი ხნის არსებულ სხვა სახეობათა მრავალგზის წარმოშობის ფაქტები. როცა ამა თუ იმ სახეობის მცენარეები ამა თუ იმ გზით მოხვდებიან მათი სახეობრივი სპეციფიკის ნორმალური განვითარებისათვის შედარებით არახელსაყრელ პირობებში, ხდება იძულებითი ცვლილება, მოცემული სახის მცენარეთა ორგანიზმში სხვა სახეობის ჩანასახების შექმნა, რომლის სპეციფიკის ჩამოყალიბებას უფრო შეეფერებიან გარემოს ახალი პირობები. ძველი სახეობის წიაღში წარმოშობილი სხვა სახეობის ერთეული ეგზემპლარები, რომლებიც უფრო შეეფერებიან მოცემულ პირობებს, მალე მრავლდებიან და უნარი შესწევთ ამ პირობებში განდევნონ ის სახეობა, რომლის წიაღშიც ისინი წარმოიშვნენ. თუ ეს ხდება ბუნებაში, წარმოშობილი სახეობა მალე მრავლდება და მოცემულ არეალში სრულიად განდევნის მის წარმომშობ სახეობას.

სხვანაირადაა საქმე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში, სადაც კულტურულ მცენარეებს აგროტექნიკური ხერხებით უვლიან, იცავენ სარეველების სახეობათაგან.

მეცნიერებაში დიდი ხანია ცნობილია, რომ სარეველა მცენარეების ბევრი სახეობა არსებობს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში, ბუნებაში ეს სახეობანი არათუ არ არსებობენ, მათ იქ სიცოცხლეც კი არ შეუძლიათ. მაგალითად, თუ მივატოვებთ, არ დავთესავთ და არ დავამუშავებთ მრავალი სახის სარეველა ბალახებით დასარევლიანებული მინდორი, იგი საკმაოდ მალე, 20-30 წლის შემდეგ, სრულიად გაწმენდილი გახდება ბევრი სახეობის სარეველებისაგან. ასეთ მინდორში განვითარდებიან უკვე არა სარეველა სახეობის მცენარეები, არამედ სხვები, რომლებიც სჩვევია ჩვეულებრივ ყამირს, ამა თუ იმ ადგილის დაუმუშავებელ ნაკვეთებს.

სარეველა სახეობის მცენარეებს წარმოშობენ როგორც ზოგიერთი არსებული სახეობა ბუნებაში, ისე კულტურულ სახეობათა მცენარეები. მაგალითად, უბოროტესი სარეველა შვრიუკა შეიძლება წარმოშვას შვრიამ.

ამიტომ მალე თუ ნელა ყამირზე მყოფი სახეობანი იცვლებიან სხვა, ისეთ სახეობებად, რომლებიც შეესაბამებიან ნიადაგის დამუშავებით შექმნილ პირობებს. ასევე ემართება კულტურულ მცენარეებსაც, როცა ისინი ხვდებიან მათთვის ცუდ კლიმატურ თუ აგროტექნიკურ პირობებში. მალე თუ ნელა ისინი აგრეთვე აუცილებლად იცვლებიან სხვა სახეობებად, რომლებიც უფრო შეეფერებიან ამ პირობებს.

კულტურული მცენარეების ბევრი სხვა სახეობა წარმოშობილია კულტურული მცენარეების სხვა სახეობათაგან. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, თუ კულტურული მცენარეების ბევრი სახეობისათვის დღემდე რატომ არ არის ნაპოვნი გარეული საწყისი სახეობანი.

ცუდი აგროტექნიკა, რომელიც მინდვრებში არ ქმნის საჭირო კარგ პირობებს კულტურული მცენარეებისათვის, აუარესებს ამ მცენარეთა ბუნებას მათი მოსავლიანობის შემცირებისა და მოსავლის ხარისხის გაუარესების მხრივ. ამასთან ერთად ცუდი აგროტექნიკა ხელს უწყობს სხვადასხვა სარეველა სახეობის გამრავლებას, რომელთა თესლი და სხვა ჩანასახები იმყოფება ნიადაგში ან შეტანილია ცუდად გაწმენდილი სათესლე მასალით. ბოლოს, ცუდ აგროტექნიკას შეუძლია აგრეთვე შექმნას პირობები კულტურული მცენარეების მიერ მთელი რიგი სარეველების ერთეული ჩანასახების კვლავ წარმოსაშობად.

ამა თუ იმ სახეობათა სარეველა ბალახების წარმოშობის პირველწყაროების აღმოჩენა და გარემოს იმ პირობების გამოვლინება, რომლებიც ასეთ მდგომარეობას განსაზღვრავენ, აგრონომიული ბიოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სამეცნიერო მუშაობა ამ მიმართულებით არა მარტო გააადვილებს ბრძოლას მინდვრებში არსებული სარეველა მცენარეების წინააღმდეგ, არამედ საშუალებას მოგვცემს მოვსპოთ ერთი სახეობის სარეველების სხვა სახეობათა სარეველებისაგან, აგრეთვე კულტურული მცენარეებისაგან წარმოშობის შესაძლებლობა.

ორგანიზმებისათვის ახალი პირობების შექმნით ანუ მათზე გარემოს ამა თუ იმ არსებულ პირობათა ზეგავლენის მოსპობით შეიძლება შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისათვის ახალი, სასარგებლო მცენარეთა სახეობანი, აგრეთვე წარმოშობის შესაძლებლობა არ მივცეთ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისათვის მავნე (სარეველა) სახეობებს.

ეს არის სახეობათა წარმოქმნის საკითხის თეორიული შემუშავების ერთ-ერთი, მაგრამ სრულიადაც არა ერთადერთი, პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანა.

აკადემიკოსი ტ. ლისენკო.

---

*) ჩ. დარვინი. თხზ., ტ. 3, გვ. 308–309. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოც. 1939 წ.

**) კ. ა. ტიმირიაზევი, ტ. VII, გვ. 97. სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო გამომცემლობა. 1939 წ.

*) კ. ა. ტიმირიაზევი, ტ. VI, გვ. 105. სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო გამომცემლობა, 1939 წ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის დეპეშა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი

პეკინი, 11 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ტრიუგვე ლის და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს ბებლერს დღეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ მივიღე ბ-ნ ტრიუგვე ლის დეპეშა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ვუცხადებ შემდეგს: ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ მიწვევა, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა უშიშროების საბჭოს 520-ე სხდომაზე 1950 წლის 8 ნოემბერს, რამდენადაც, ამ გადაწყვეტილების თანახმად, ეს მიწვევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობის წარმომადგენელს უფლებას ართმევს განიხილოს უშიშროების საბჭოში ჩინელი ხალხისათვის ყველაზე გადაუდებელი საკითხი, სახელდობრ — კორეაში შეიარაღებული ინტერვენციის და ჩინეთის წინააღმდეგ შეერთებული შტატების მთავრობის აგრესიის საკითხი, და ჩინეთის წარმომადგენლის უფლებას ზღუდავს ეგრეთწოდებული გაერთიანებული სარდლობის სპეციალური მოხსენების განხილვით, სარდლობისა, რომელიც უშიშროების საბჭომ შეერთებული შტატების მანიპულაციების შედეგად უკანონოდ შექმნა ორი მუდმივი წევრის — საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაუსწრებლად, და ამიტომ ეს მოხსენება არა მარტო ცალმხრივი და მიკერძოებითია, არამედ უკანონოც არის და სრულიად არ შეიძლება მიღებულ იქნას განხილვის საფუძვლად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სახელით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში წინადადება შემაქვს, რომ ორი აღნიშნული საკითხის, კორეაში შეიარაღებული ინტერვენციისა და ჩინეთის კუთვნილი ტაივანის წინააღმდეგ შეერთებული შტატების მთავრობის აგრესიის საკითხების სერიოზულობის გამო, აგრეთვე იმ ფაქტის გამო, რომ ეს ორი საკითხი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ უშიშროების საბჭოს გაეერთიანებინა განხილვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის მიერ შეერთებული შტატების მთავრობისათვის წაყენებული ბრალდებისა ტაივანზე შეიარაღებულ აგრესიაში იმ საკითხის განხილვასთან, რომელიც ეხება შეერთებული შტატების მთავრობის შეიარაღებულ ინტერვენციას კორეაში, რათა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელს, რომელიც დაესწრება უშიშროების საბჭოს სხდომებს „ტაივანზე შეიარაღებული აგრესიის შესახებ საჩივრის" განხილვისას, შესაძლებლობა ჰქონდეს ამავე დროს წამოაყენოს ბრალდება კორეაში შეერთებული შტატების მთავრობის შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ.

ჩინელი ხალხი მხარს უჭერს ჯოუ ენ-ლაის სამართლიან განცხადებას

შანხაი, 13 ნოემბერი. (საკდესი). ჩინელი ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს ჯოუ ენ-ლაის დეპეშას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ჩინეთი უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს უშიშროების საბჭოში მაკარტურის ეგრეთწოდებული სპეციალური მოხსენების განხილვაში.

გაზეთი „დაგუნბაო" წერს, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამსჯავროს წინაშე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა კი არა, არამედ ამერიკელი აგრესორები უნდა წარდგნენ, რომლებმაც აშკარად მოახდინეს ჩვენი ტაივანის ოკუპაცია, რომლებიც აშკარად ბომბავენ და სროლას უტეხენ ჩვენს ტერიტორიას, უაღრესად ბარბაროსული საშუალებებით ეწევიან აგრესიულ ომს კორეის წინააღმდეგ და ემუქრებიან ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთს".

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კორეაში წარმოებულ ბრძოლაში ჩინელ მოხალისეთა მონაწილეობა სამართლიანია.

გაზეთი „ვენგუიბაო" აღნიშნავს: „სავსებით ცხადია, თუ ვინ არის აგრესორი და ვინ შეიჭრა კორეაში. კორეელ ხალხს კი არ დაუწყია ომი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. პირიქით, კორეაში ომი დაიწყეს თვით ამერიკელმა ავაზაკებმა, რომლებსაც კიდევ ჰყოფნით უტიფრობა ბრალად დასდონ ჩინეთს, რომ იგი „ერევა" კორეის ომში".

გაზეთი მოითხოვს, რომ ამერიკის აგრესიული შეიარაღებული ძალები დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან კორეიდან და ტაივანიდან და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაგმოს ბოროტმოქმედებანი, რასაც ამერიკის თვითმფრინავები სჩადიან ჩინეთის ტერიტორიაზე თავდასხმების დროს, ბოლო მოუღოს ამ პროვოკაციულ მოქმედებას და დააკისროს ამერიკის შეერთებულ შტატებს აუნაზღაურონ ჩინეთს ამ თავდასხმებით მიყენებული მთელი ზარალი.

შანხაი, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ძეფანძიბაო" იუწყება, გუშინ შანხაის ყველა დემოკრატიულმა პარტიამ, ჯგუფებმა და სახალხო ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი მთლიანად უჭერენ მხარს ჯოუ ენ-ლაის დეპეშას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი.

„ჩინელ ხალხს მხურვალედ უყვარს მშვიდობა და ძალაც შესწევს დაიცვას იგი"

პეკინი, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, გაზეთი „ჟენმინჟიბაო" სარედაქციო სტატიაში ეხება ჩინელ მოხალისეთა მონაწილეობას კორეაში წარმოებულ საომარ მოქმედებაში და წერს:

კორეაში ჩინელი სახალხო მოხალისეების გაბედულმა, სამართლიანმა მოქმედებამ, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ ამერიკის აგრესიას, ეხმარებიან კორეას, იცავენ თავიანთ კერებსა და თავიანთ ქვეყანას, ჩინეთის მოსახლეობის ყველა ფენის მხურვალე მხარდაჭერა გამოიწვია. მთელი ჩინეთის პატრიოტები უდიდესი აღფრთოვანებით გამოთქვამენ მზადყოფნას შეუერთდნენ მოხალისეებს. მასობრივად მოდის წერილები, რომლებიც მიესალმებიან სახალხო მოხალისეებს და რომელთა ავტორები აცხადებენ, რომ სიცოცხლეს არ დაზოგავენ ამ სამართლიანი მოქმედების მხარდასაჭერად.

ამერიკელმა იმპერიალისტმა აგრესორებმა ყოველგვარ ცილისწამებას, სიცრუესა და მუქარას მიმართეს ჩინელი ხალხის სამართლიანი მოქმედების გამო და ცდილობენ ეს მოქმედება წარმოადგინონ როგორც „აგრესიის აქტი".

მაგრამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა თავის 11 ნოემბრის განცხადებაში სასტიკად დაგმო ამერიკელი აგრესორების ეს ცილისწამება, სიცრუე და მუქარა, რითაც მთელი ჩინელი ხალხის ნება გამოხატა.

მოწინააღმდეგე კვლავაც მიმართავს ახალ ცილისწამებას, სიცრუესა და მუქარას, რაც მისი შეიარაღებული აგრესიის აუცილებელი დამატებაა. ამიტომ მთელი ჩინეთის ხალხი სავსებით მზად უნდა იყოს აღკვეთოს მავნე კონცეფციები, რომლებსაც მოწინააღმდეგე ავრცელებს.

კორეაში ჩინელ სახალხო მოხალისეთა მოქმედებისათვის „ინტერვენციის" ან „შეჭრის" დარქმევის ცდები დაუსაბუთებელი და უაზროა. ისტორიაში ცოტა როდი ყოფილა ინტერვენცია და შეჭრა, აგრეთვე ბევრი ყოფილა სახალხო მოხალისეთა მოქმედების მაგალითი; ისინი ერთმანეთში არასოდეს არ აურევიათ.

როგორც ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, ამერიკელთა ცდა — შავი თეთრად გაასაღონ ან პირიქით — ვერ მოატყუებს კაცობრიობას. მთელ ამ ცილისწამებას შეუძლია მხოლოდ გააძლიეროს ჩინელი ხალხის სამართლიანი, პატრიოტული გულისწყრომა.

ამჟამად შეერთებული შტატები არა მარტო შეიჭრნენ კორეაში — ჩინეთის მეზობლის ტერიტორიაზე — და ჩინეთის საზღვრებს ემუქრებიან, არამედ უფრო მეტიც — თავიანთი ფლოტით შემოიჭრნენ ჩვენი ტაივანის წყლებში და თავიანთი ავიაციით — ჩვენს ჩრდილო-აღმოსავლეთ საჰაერო სივრცეში.

ცდილობენ რა დააშინონ ჩინელი ხალხი, ამერიკელი იმპერიალისტები იმუქრებიან, რომ ომს გადმოიტანენ კორეის ფარგლებს აქეთ და აღნიშნავენ, „ჩინეთი თვითონ აუტეხს თავს უბედურებასო". სინამდვილეში ჩინელ ხალხს არა სურს ომი, არამედ სურს მშვიდობა. აი რატომ გამოდის იგი კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების სასარგებლოდ.

ის ფაქტი, რომ ჩინელმა პატრიოტებმა გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ კორეელ ხალხს თავიანთი ნებაყოფლობითი მოქმედებით, ცხადყოფს, რომ ჩინელ ხალხს სრულიადაც არ ეშინია ამერიკელი აგრესორებისა.

ჩინელ ხალხს მხურვალედ უყვარს მშვიდობა და ძალაც შესწევს დაიცვას იგი. ჩვენ მოვითხოვთ, წერს დასასრულ გაზეთი, მშვიდობიანად მოწესრიგდეს კორეის საკითხი და შესაძლებლობა მოგვეცეს ვეწეოდეთ მშენებლობას მშვიდობიან პირობებში და დარწმუნებული ვართ, რომ ჩინელი ხალხი და მთელი მსოფლიოს ხალხები ჩაფუშავენ მტრის ყველა შეთქმულებასა და ავანტიურას.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 13 ნოემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ჯარები ფრონტის ყველა უბანზე აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების წინააღმდეგ.

ანჯუს (ანსიუ) რაიონში სახალხო არმიის ჯარები ბრძოლებს განაგრძობდნენ მდინარე სეისენ-კოს ზღუდეზე.

აღმოსავლეთ სანაპიროზე გილდიუს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში სახალხო არმიის ჯარებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგის მეწინავე ნაწილები და უკუაგდეს სამხრეთისაკენ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აბრკოლებს ამერიკის დელეგაციის გამგზავრებას მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი. (საკდესი). „მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე წარმომადგენლობისათვის ბრძოლის ამერიკული კომიტეტის" თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელმა პროფესორმა ჯოზეფ ფლეტჩერმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი უთხრა საზღვარგარეთ წასვლის პასპორტის მიცემაზე პოლ რობსონის შვილს პოლ რობსონ-უმცროსს, რომელიც უნდა წასულიყო მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე. სახელმწიფო დეპარტამენტმა პასპორტის მიცემაზე უარი უთხრა აგრეთვე ელექტრო და რადიომრეწველობის მუშათა დამოუკიდებელი პროფკავშირის წარმომადგენელს ერნსტ დემაიოს.

პროფესორმა ფლეტჩერმა დაგმო სახელმწიფო დეპარტამენტის მოქმედება, ამასთან აღნიშნა, რომ ეს მოქმედება თითქმის იგივეა, რაც „პოლიციური სახელმწიფოს თვითნებობა". „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში ადამიანის უფლებათა შესახებ,—თქვა მან, — არის დებულება, რომელიც ითვალისწინებს მიმოსვლისა და ურთიერთობის თავისუფლებას. ჩვენმა მთავრობამ ხმა მისცა ამ დეკლარაციას. მაშ რატომ არ ახორციელებს იმას, რასაც ქადაგებს?"

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის საფრანგეთის დელეგაციის წერილი ინგლისის პრემიერ-მინისტრისადმი

პარიზი, 13 ნოემბერი. (საკდესი). მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანიზაციის მუდმივმა ეროვნულმა კომისიამ გამოაქვეყნა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის საფრანგეთის დელეგაციის წერილი ინგლისის პრემიერ-მინისტრისადმი. წერილში, კერძოდ, ნათქვამია:

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის საფრანგეთის დელეგაციას თავის მოვალეობად მიაჩნია თქვენს მიმართ გამოთქვას წყენა და გაკვირვება იმ თვითნებურ ღონისძიებათა გამო, რომლებიც თქვენმა მთავრობამ განახორციელა, რათა ხელი შეეშალა მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ყრილობის მოწყობისათვის შეერთებული სამეფოს ტერიტორიაზე.

ჩვენ განზრახვა არა გვაქვს ინგლისელ ხალხს დავაკისროთ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ხელყოფილ იქნა ადამიანთა უფლება — განეხილათ მშვიდობის დაცვის საკითხები და შეთანხმებულიყვნენ იმ საშუალებებზე, რომლებსაც შეუძლიათ მსოფლიოს ყველა ბავშვი გადაარჩინონ საშინელებისაგან, რომელიც უკვე ცნობილია ესოდენ მრავალი დედისათვის ინგლისში. მაგრამ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელსაც თქვენ კისრულობთ ამ ვითარებაში.

ეს კონგრესი იმის დიდი იმედია, რომ ძლიერია საერთო განსაცდელში გამოჭედილი მეგობრობა. ჩვენ ვხარობდით, რომ ეს იმედი გამოითქმებოდა იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც თავისუფალი მსჯელობა და თავისუფალი დისკუსია წარსულში ინგლისელი ხალხის სიამაყის საგანი იყო. თქვენ ეს ტრადიცია უკუაგდეთ იმ მომენტში, როცა საერთაშორისო მდგომარეობა განსაკუთრებით სერიოზულია და როცა ხალხთა შორის მოლაპარაკება საუკეთესო შესაძლებლობას წარმოადგენს მშვიდობის დაცვის საქმეში.

ეს დიადი იმედი თავისუფლად იქნება გამოთქმული ვარშავაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავის აღსანიშნავი მიტინგი ლონდონში

ლონდონი, 13 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ ლონდონში მოაწყო მიტინგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავის აღსანიშნავად. მიტინგს დაესწრო 9 ათასი კაცი, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციები, რომლებიც ინგლისში ჩამოვიდნენ მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე, რაც შეფილდში უნდა გამართულიყო.

პრეზიდიუმის წევრებს შორის იყვნენ მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის თავმჯდომარე ჯ. გ. კროუტერი, პარლამენტის ყოფილი წევრი, დამოუკიდებელი ლეიბორისტი დ. ნ. პრიტი, ლეიბორისტი, პარლამენტის წევრი ს. ო. დევისი, ინგლისის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჰარი პოლიტი, ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალური მდივანი უილიამ უეინრაიტი, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ჯონ კინგსბერი, საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული ლონდონში ეროფეევი, კინორეჟისორი პუდოვკინი, მწერალი პოლევოი და სხვ.

უზარმაზარი დარბაზი, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, მორთული იყო ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობისაკენ და მშვიდობისათვის ბრძოლაში ერთიანობისაკენ მომწოდებელი ლოზუნგებით.

მიტინგმა ჩაიარა საბჭოთა კავშირთან მეგობრობისაკენ მის მონაწილეთა მხურვალე მისწრაფების ნიშნით. როცა ორატორები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ლეიბორისტულმა მთავრობამ ნება არ დართო დელეგატებს დასწრებოდნენ მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესს შეფილდში, დარბაზში ხმამაღლა გაისმოდა შეძახილები: „სირცხვილი".

მიტინგი გახსნა პარლამენტის ყოფილმა წევრმა, დამოუკიდებელმა ლეიბორისტმა პლეტს-მილსმა, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სათავეში უდგანან მშვიდობისათვის ბრძოლას და რომ სსრ კავშირი „საყოველთაო მშვიდობის ყველაზე ერთგული გუშაგია". მან დაგმო იმათი მოქმედება, ვინც ინგლისი გადააქცია „კუნძულ ელისად" (ნიუ-იორკის ახლოს მდებარე კუნძული, რომელსაც იყენებენ საპატიმროდ „არასასურველი" უცხოელებისათვის — რედაქციის შენიშვნა).

პრიტმა მიტინგის მონაწილეებს უამბო საბჭოთა კავშირში თავისი ამასწინანდელი მოგზაურობის შესახებ და განაცხადა, რომ „კოლოსალური აღდგენითი სამუშაოები", რასაც სსრ კავშირში ეწევიან, მოწმობს, რომ საბჭოთა ხალხს მტკიცედ სწამს მომავალი. „საბჭოთა ხალხი ასრულებს ამ სამუშაოს, რადგან საბჭოთა კავშირში არ წარმოებს გამალებული შეიარაღება, — თქვა პრიტმა მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში".

შემდეგ სიტყვა აიღო ს. ო. დევისმა, რომელმაც განაცხადა, რომ ამაყობს ამ მიტინგზე გამოსვლის პატივით. ილაპარაკა რა სსრ კავშირის მიღწევებზე, დევისმა თქვა, რომ „საბჭოთა კავშირი ისეთი სახელმწიფოს მაგალითია, რომლითაც უნდა ამაყობდეს თვითეული სოციალისტი".

შეეხო რა მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს, დევისმა განაცხადა: „ომის საფრთხე სერიოზულია, მაგრამ ინგლისელი მშვიდობის მომხრენი თავიდან აგვაცილებენ ჩვენი პატარა კუნძულის ჩაბმას ასეთ ომში, თუ ისინი იბრძოლებენ თავიანთი უფლებების დაცვისათვის. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი უფლებანი. ომის გამჩაღებლებს პანიკა იპყრობს, ვინაიდან ისინი სულ უფრო ხედებიან, რომ ინგლისელი ხალხი თავს არ ჩააბმევინებს ომში" (მოწონების შეძახილები და ტაში). დასასრულ დევისმა დამსწრეთ ჰკითხა: „აპირებთ თუ არა იომოთ იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც საუკუნეობრივი ტირანიები დაამხეს?" ამაზე მთელმა დარბაზმა მტკიცედ უპასუხა: „არა!".

კინორეჟისორმა პუდოვკინმა, რომელსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ, ილაპარაკა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და უდაბნოების მორწყვის გეგმებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირში ხორციელდება. შეეხო რა თავის, როგორც კინორეჟისორის, მუშაობას, პუდოვკინმა თქვა, რომ მას სურს დგამდეს შემოქმედებისადმი და არა ნგრევისადმი მიძღვნილ ფილმებს. ეს იქნება ფილმები იმ ადამიანებზე, რომლებსაც მშვიდობა სურთ.

მწერალმა პოლევოიმ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ინგლისელი და საბჭოთა ხალხები ომში ერთად იბრძოდნენ და მშვიდობისათვის მხარდამხარ იბრძოლებენ.

ინგლისის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პოლიტმა განაცხადა, რომ ოქტომბრის რევოლუცია „თანადროულობის უდიდესი მოვლენაა". ჩვენს სიცოცხლეში მომხდარ არც ერთ მოვლენას, თქვა მან, არ მოუხდენია ესოდენ ღრმა და ხანგრძლივი ზემოქმედება მთელ მსოფლიოზე, არც ერთ მოვლენას არ გამოუწვევია ისეთი აღტაცება და სიამაყე, როგორიც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ 1917 წლის ნოემბერში ძალაუფლება აიღეს რუსეთის მუშებმა.

პოლიტმა მოიყვანა რამდენიმე განცხადება, რომლებიც საბჭოთა რუსეთის მტრებმა, მათ შორის ჩერჩილმა და ლუდენდორფმა, გააკეთეს მისი არსებობის პირველ დღეებში. „მაშინ ისინი წინასწარმეტყველებდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის მალე დაღუპვას. ოდესღაც ასე ფიქრობდა ჰიტლერი, ახლა კი ასე ფიქრობენ ტრუმენი და ეტლი, და მათაც ისევე გაუცრუვდებათ იმედი, როგორც ჰიტლერს" (ტაში).

ილაპარაკა რა იმ დიდ მსხვერპლზე, რაც საბჭოთა ხალხმა ომის დროს გაიღო, და იმაზე, თუ დასავლეთელ პოლიტიკანებს როგორ ჰქონდათ იმედი, რომ საბჭოთა კავშირი დასუსტდებოდა და ომის შემდეგ მონაწილეობას ვეღარ მიიღებდა საერთაშორისო ცხოვრებაში, პოლიტმა მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში განაცხადა: „რუსებს დაჩოქილს ვერასოდეს ვერავინ ნახავს".

ილაპარაკა რა მშენებლობის კოლოსალურ პროგრამაზე, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში ხორციელდება, პოლიტმა დასძინა: „თავისი არსებობის პირველი დღეებიდან ახლანდელ მომენტამდე საბჭოთა კავშირი იბრძვის საყოველთაო მშვიდობის დაცვისათვის".

მიტინგის მთელმა რიგმა მონაწილეებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირში ყოფილან, ილაპარაკეს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაზე, მშვიდობისადმი მის მხურვალე მისწრაფებაზე.

მიტინგზე გამოქვეყნებულ იქნა მისალმების წერილი საბჭოთა ხალხისადმი, რომელშიც ნათქვამია:

„ლონდონის ემპრეს-ჰოლში შეკრებილი 9 ათასი ადამიანი ხმას უერთებს მსოფლიოს ყველა ადამიანის ხმას. მივესალმებით საბჭოთა კავშირს ოქტომბრის რევოლუციის 33-ე წლისთავის გამო და მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ თქვენი მისწრაფება მშვიდობისადმი ისევე უცვლელი იქნება, როგორც თქვენი ღონისძიებანი, რაც მიმართულია იმისაკენ, რომ მიღწეულ იქნას ატომური ბომბის აკრძალვა და საყოველთაო განიარაღება. ეს ჩვენი მისწრაფებაცაა.

ეს მისალმება ლიტონი სიტყვები როდია; იგი ასახავს თვითეული ჩვენგანის მტკიცე გადაწყვეტილებას გაძლიერებით და შეუპოვრად იბრძოლოს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის".

დასასრულ მიტინგის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებული ლონდონში ეროფეევი.

პოლონეთის მშრომელები მიესალმებიან მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესს

ვარშავა, 13 ნოემბერი. (საკდესი). პოლონეთის საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესს და სიხარულს გამოხატავს იმის გამო, რომ კონგრესი მოეწყობა ვარშავაში.

ხალხმრავალ კრებებზე და კონგრესის მისამართით გამოგზავნილ წერილებში მშრომელები პროტესტს აცხადებენ ინგლისის მთავრობის მოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც, უარი უთხრა რა დელეგატებს ვიზების მიცემაზე, ჩაფუშა კონგრესის შეფილდში მოწყობა და საბოლოოდ გვიჩვენა თავისი მტრული დამოკიდებულება მშვიდობისათვის ბრძოლის საქმისადმი.

ქალაქ პოზნანის მცხოვრებთა მიტინგზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ პოზნანის საზოგადოებრიობა უერთდება მთელი მსოფლიოს ხალხთა აღშფოთების ხმას, გმობს ინგლისის მთავრობის სამარცხვინო მოქმედებას.

ქალაქ კრაკოვის საწარმოების მუშები კონგრესისადმი გაგზავნილ წერილებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი კვლავაც განამტკიცებენ მეგობრობას საბჭოთა კავშირთან და დაუღალავად იმუშავებენ მშვიდობის დასაცავად.

პოლონეთის საწარმოთა კოლექტივები მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის აღსანიშნავად „მშვიდობის ვახტზე" დგებიან. მაგალითად, ქალაქ ლოძის სტალინის სახელობის საფეიქრო ფაბრიკაში „მშვიდობის ვახტზე" დადგა 2 ათასი მუშა, ქალაქ ცირარდუვის საწარმოებში — დაახლოებით 3 ათასი მუშა და ასე შემდეგ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის მუშებმა ლუბლინში ვალდებულება იკისრეს კონგრესის აღსანიშნავად 21 დეკემბრამდე შეასრულონ წლიური გეგმა.

პროტესტები საფრანგეთისათვის ამერიკული იარაღის მიწოდების გამო

პარიზი, 13 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთ „ლუმანიტეს" კორესპონდენტი იუწყება, დასავლეთ გერმანიიდან ბორდოში ჩავიდა ამერიკელთა 180 ავტომანქანა, რომლებითაც ჩაიყვანეს „სპეციალისტები" ამ ნავსადგურში ჩასული გემებიდან ამერიკული სამხედრო მასალების გადმოსატვირთავად.

გაზეთი იუწყება, რომ ქალაქის მოსახლეობა და სხვადასხვა პროფკავშირული და დემოკრატიული ორგანიზაციები პროტესტს აცხადებენ ამერიკის ჯარების ბორდოში ჩასვლის გამო.

არქეოლოგიური გათხრები სამგორის ველზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი პროფესორ გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით აწარმოებს სამგორის ყურღანის გათხრებს.

ყურღანი ძალიან ძველი დროისაა. იგი წარმოადგენს საფლავის ერთ-ერთ სახეს და გარეგანი ხედით ბუნებრივ გორაკს გვაგონებს. მის გასაკეთებლად დიდძალი მიწა მოუგროვებიათ და გორაკის ფორმა მიუციათ.

ჯერჯერობით გათხრილია 8.000 კუბმეტრამდე მიწა და აღმოჩენილია კონუსის მსგავსი წითლად შეღებილი რიყის ქვის წყობა, რომლის პრეპარაცია, ე. ი. მის ზემოდან და მის გარშემო დაყრილი მიწის მოცლა უკვე დაწყებულია. მალე რიყის ქვის წყობაც იქნება აღებული და გამოვლინდება მის ქვეშ მდებარე ძეგლები.

თბილისის მახლობლად მდებარე სამგორის ერთ-ერთი ყურღანის გათხრას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

გათხრებში მონაწილეობას იღებენ არქეოლოგიის დარგში მომუშავე ასპირანტები და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტები.

ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, 17 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მოეწყობა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების 10 წლისთავისადმი.

სხდომაზე მოხსენებებს წაიკითხავენ: დოცენტი დ. გვრიტიშვილი — „ივ. ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა", ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქ. ლომთათიძე — „ივ. ჯავახიშვილი და ქართულ-კავკასიური ენების შესწავლა", დოცენტი შ. მესხია — „ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეკონომიური ისტორიის საკითხები", დოცენტი აბ. კიკვიძე — „ივ. ჯავახიშვილი და ქართული ისტორიოგრაფია".

კინოდანადგარი კოლმეურნეობაში

მახარაძე. (საკ. კორ.). კინოფიკაციის მახარაძის რაიგანყოფილებამ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოაწყო ახალი, სასოფლო ტიპის კინოდანადგარი.

კინოდანადგარის ამუშავების პირველ დღეს კოლმეურნეებს უჩვენეს ხმოვანი კინოსურათი „მამაცი ადამიანები".

„აბესალომ და ეთერი" სტუდენტების მონაწილეობით

ამ დღეებში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ნაჩვენები იყო ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი" ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა მონაწილეობით.

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. აღსაბაძემ, დირიჟორობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სტალინური პრემიის ლაურეატი გ. კილაძე.

სპექტაკლს მოწონებით შეხვდა თბილისელი მაყურებელი.

მწერალთა კლუბში

დღეს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში მთარგმნელთა სექცია აწყობს მილტონის „დაკარგული სამოთხის" ქართული თარგმანის საჯარო კითხვა-განხილვას (მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე).

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

16 ნოემბერს, დილის 10 საათზე, შედგება პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი.

ლექტორი დოცენტი გ. ასათიანი.

ლექცია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და მასწავლებლის სახლის დირექცია, 17 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) აწყობენ საზოგადოების ნამდვილი წევრის დოცენტ გ. ტალიაშვილის ლექციას თემაზე: „ლევ ტოლსტოი და საქართველო" (გარდაცვალების 40 წლისთავი).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

16 ნოემბერი

6.45—სიმფონიური მუსიკა. 8.30 — ქართული ხალხური სიმღერები. 17.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. კრილოვის იგავ-არაკები. 18.20 —კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ეთერ წვერავას შესრულებით. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.00 — პუჩინის ოპერა: „ჩიო-ჩიო-სანი". პირველ ანტრაქტში: საუბარი: ბურჟუაზიული დემოკრატია დემოკრატიაა მდიდრებისათვის. მეორე ანტრაქტში: ლიტერატურული გადაცემა: „ახალი წიგნები".

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„რიგოლეტო" (მე-4 აბ.); რუსთაველის სახელობის—„ნ. ბარათაშვილი", მარჯანიშვილის სახელობის — „სანაპიროზე"; გრიბოედოვის სახელობის — „აზნაურთა ბუდე" (მე-14 აბ.); სომხური დრამის — „ქორ-ოღლი"; მუსიკალური კომედიის — „მეგობრები" (ფილარმონიის საზამთრო თეატრის შენობაში); მოზარდ მაყურებელთა ქართული— „პატარა მეთხილამურეები" (31-ე აბ. 7 საათზე); მოზარდ მაყურებელთა რუსული — „გოგონები" (მე-19 აბ. 7 საათზე); ხანკულტურის —„ჩემი სილამაზე"; სახელმწიფო ცირკი — დიდი საცირკო წარმოდგენა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. მექანიზაციის განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი.
2. მექანიზაციის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — მეცნიერების კანდიდატი.
3. დასაყრდენი პუნქტების გამგეები, უფროსი მეცნიერი თანამშრომლები—მეცნიერების კანდიდატის ხარისხით.

ა) ქვემო ქართლში (დ. ბოლნისი), ბ) შუა ქართლში (ქ. გორი), გ) მესხეთში (ს. წნისი), დ) რაჭა-ლეჩხუმში (ს. ჭრებალო), ე) გურიაში (დ. ჩოხატაური), ვ) სამეგრელოში (ქ. ზუგდიდი), ზ) აფხაზეთში (ქ. გუდაუთა).

4. ურიათუბნის ექსპერიმენტული ბაზა—უფროსი მეცნიერი თანამშრომელი—მეცნიერების კანდიდატი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დამტკიცების საბუთების შემოწმებული ასლები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერული ნაშრომების სია და მთავარი მეცნიერული ნაშრომები.

კონკურსის ვადაა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: თელავი, მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს **ავტოშემკეთებელი ქარხანა** აცნობებს ავტომობილის მქონე მეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომ 1950 წლის ნოემბრიდან ქარხანა კაპიტალურ შესაკეთებლად იღებს ავტომანქანა: „გაზ-მმ", „ზის-5", „გაზ-51" და „ზის-150"-ს სპიდომეტრებს.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, ღრმაღელე, მექანიზაციის ქუჩა № 1, გამსაღებელი განყოფილება. ტელეფონი 3-00-61. ქვესადგური 3-00-60.

თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ბავშვთა ინფექციის 1-ლ კლინიკურ საავადმყოფოს ესაჭიროება კლინიკაში მუშაობის სტაჟის მქონე მომვლელები და ცეცხლფარეშები. პირობების გაგება შეიძლება: საბურთალო, ხილიანის ქ. № 14, ტელეფონი 3-24-65.

მოქალაქე **იაკობ შელიხონის-ძე აბრამიშვილმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, ჩახრუხაძის ქ. № 25, აღძრა საქმე ქ. ნოვოსიბირსკში, ვაგზლის ქ. № 1 მცხოვრებ მოქალაქე **ირინე ივანეს ასულ აბრამიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ფატულა გულიამოვმა**, მცხოვრებმა ხუთწლედის ქ. № 20, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ანა ვასილის ასულ დონცოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის პირველი ინსტანცია.

გ. გულისაშვილი, ვ. მირზაშვილი, ი. აბაშიძე, დ. სარაჯიშვილი, დ. თავხელიძე, ბ. გულისაშვილი, ე. ერისთავი, ი. კვახაძე, გ. ტარასაშვილი, ა. ჭარელიშვილი, გ. ზრეგვაძე, ნ. ზუროშვილი თანაგრძნობას უცხადებენ პ. მეტრეველს მისი დედის **ბაბილინა მეტრეველის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ალექსი, შვილები პეტრე, ოთარ, ტატიანა, ელგუჯა და აგრაფინა, ძმა ტრიფონ, ძმისწულები სერგო, ეთერ ოჯახებით, ბაბულია, თამარ, რძლები ნუნუ, ნინო, მედეა, სიძე გ. ხვედელიძე იუწყებიან **ბაბილინა მელიტონის ასულ ბუილიშვილი-მეტრეველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XI, ზესტაფონში, წყალსადენის, 1.

მეუღლე მიხეილ, შვილები ელისაბედ, ნინო, შალვა, გიორგი, რძლები ნუცა და ირინე, შვილიშვილები ოთარ მეუღლით, თამარ, თინა, გოგი, ლევან და ირაკლი იუწყებიან **ნინო მიხეილის ასულ თაქთაქიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-XI, 7 ს. გამოსვენება 16-XI 4 ს. შიო მღვიმელის, 8.

საქართველოს სს რესპუბლიკაში დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ვაჩნაძეს მისი მამის **ნიკოლოზ ყულანის-ძე ვაჩნაძის** გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 15-XI. 7 ს. გამოსვენება 16-XI. 5 ს. ცხემის შესახ., 2.

გურანდა და ალექსანდრე რიჟამაძეები იუწყებიან **ელენე ეფრემის ასულ ვირსალაძის** გარდაცვალებას.

შვილები თინათინ, სოლიკო, ელენე, სიძე შ. ხიდაშელი, შვილიშვილები მანანა და გოგი იუწყებიან **ელენე ეფრემის ასულ ვირსალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-XI, 8 ს. გამოსვენება 16-XI. 4 ს. ბელინსკის, 61.

დედა ივლიტა, და ანეტა, ძმა პროკოფი, რძალი ვერა მიმინოშვილები, სიძე ბესარიონ, დისწული ბესიკო გვახავები იუწყებიან **ანა ანდრიას ასულ ხამხოხის** გარდაცვალებას. გამოსვენება 19-XI, 4 ს. ერისთავის, 8.

შვილები მიშა, ნათელა, ვენერა, რძალი ნადია, შვილიშვილები თამაზ, ნუნუ, მერაბ და როზა თევზაძეები იუწყებიან **ივანე მოსეს-ძე თევზაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-XI, სოფ. გომში (სამტრედიის რაიონი).

ს. ხუციშვილი, ლ. ქუთათელაძე, ზ. და ნ. ბაღდასარაშვილები, ვ. ჯაფარიძე, მ. ბაღრიაშვილი იუწყებიან **ელენე ეფრემის ასულ ვირსალაძის** გარდაცვალებას.

ნინო, თამარ, მარგარიტა და ვეტა ლასხიშვილები ოჯახებით იუწყებიან [illegible] **ნინო მიხეილის ასულ თაქთაქიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05440